საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 აგვისტო, 2014 წელი.

№152 (7533)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

არამზადებს არამზადები იცავენ...

თავსა ახლად რომ ვერ იშობს ადამიანი, მით უმეტეს, თუ ის ცრუპენტელა არამზადად არის დაბადებული, ეს უძველესი ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დაამტკიცა უსირცხვილოდ თავგადავითაღმაშენებულმა მიხეილ სააკაშვილმა ნაციონალების ჭუჭყიანი საცვლების მრეცხავ ეკა კვესიტაძესთან ინტერვიუში, რომელიც, დიდად სამწუხაროდ, ნაციონალების იდეოლოგიურმა რუპორმა „რუსთავი-2“-მა ასევე ნაციონალების ცნობილი აგენტის ერეკლე კოდუას „წვერებიან“ ინტერვიუსთან ერთად შემოგვთავაზა მიზანმიმართულად სწორედ იმ დროს, როცა, როგორც იქნა, ცოდვებში ყელამდე ჩაფლულ სააკაშვილს ჯერჯერობით მხოლოდ ორი მძიმე ბრალდება წაუყენეს და სასამართლომ წინასწარი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა.

იმის მაგივრად, რომ მონანიების გზას დასდგომოდა ყველა იმ უბედურებისთვის, რაც მან, ამ ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა, გრძელი ცხრა წლის მანძილზე თავს დაატეხა საქართველოს და ქართველ ხალხს, პირიქით, აქეთ გადმოვიდა შეტევაზე როგორც ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელი. თავი პოლიტიკური დევნის მსხვერპლად წარმოაჩინა, რომელსაც ვითომც ხელთან ერთად თავსაც სჭრის „რუსი ოლიგარქი“ ბიძინა ივანიშვილი თვითონ პუტინის დავალებით – „კარგი რატომ აგიგიას“ პრინციპით.

აგანგალა განგალაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. იმ საღამოს ყველანი დიდი ბლადუნის, აბდაუბდის მოწმენი გავხდით. ბლადუნი კი, მოგეხსენებათ, არამზადათაგან გამოყენებული თავდაცვის ერთ-ერთი ძველი ხერხია, რომელსაც აგრერიგად ხშირად მიმართავდა და მიმართავს ყოველგვარი სიყალბისა და ბოროტების დიდოსტატი, – სააკანთ აწ ავად ჩაკურატებული (იქნებ სულაც ბოღმისგან!) ბიჭი.

ალხანას რომ ჩალხანა არ დაელევა, ეს სააკაშვილის ამჟამინდელმა ვითომ მეგობრებმაც ნათელყვეს, ვინ არიან ეს „მეგობრები“? ერთი სააკაშვილის თანაბოროტმოქმედი ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე, ამჯერად გაადვოკატებული, ზურგზე ენაგადაგდებული ოთარ (ბოდიში, ოთო!) კახიძეა, რომლის ადეიშვილის მოადგილეობის პერიოდი, ალბათ, ცალკეა შესასწავლი. ამ ოთოს „მგზნებარებით“ არ ჩამორჩება ასევე ადეიშვილის კიდევ ერთი მოადგილე, სააკაშვილის გავეშებული დამცველი გიორგი ვაშაძე, რომელსაც საქართველოში სამართლიანობის აღდგენა ჩვენი დასავლელი კეთილმოსურნეების თვალში საქართველოს სახელის შერცხვენად მიაჩნია.

ამავე აზრს იმეორებს ეკრანზე ყოველი გამოჩენისას „გააფთრებულ-გაშმაგებული“ ნაციონალი, უთუოდ კარგი პოეტის არცთუ მაინცდამაინც კარგი ლექსი-შვილი ნუგზარიკო წიკლაური, რომელმაც ამ დღეებში პარლამენტის ტრიბუნიდან საქართველოს სირცხვილი უწოდა არა თვითონ სააკაშვილს და ნაციონალთა მიერ ჩადენილ ათას ბნელ საქმეს, არამედ სააკაშვილის, ამ „ფრთიანი ანგელოზის“, ვითომცდა პოლიტიკურ დევნას.

ესე იგი, რა გამოდის, ბატონებო – ყოველგვარ საღ ლოგიკას მოკლებულ სააკაშვილის დამცველთა აზრით, საქართველოს დასავლელი პარტნიორები უკანონობის მომხრენი არიან, ისინი ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას საჭიროდ არ მიიჩნევენ, მთავარია, თურმე მომავლისკენ ვიყურებოდეთ და ნაციონალთაგან წარსულში ჩადენილ უამრავ ბოროტმოქმედებას დავიწყების ფარდა ჩამოვაფაროთ?!

ნამდვილად ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი უკანონობის მომხრე ადამიანები საქართველოს მეგობრები არიან. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ნამდვილად საქართველოს სირცხვილია, ათასი დანაშაულის ჩამდენი ადამიანის, თუნდაც იმპერატორის, მეფის, პრეზიდენტის თუ პრემიერ-მინისტრის, აგრერიგად უსირცხვილოდ თავგამოდებული დაცვა!

ძვეშნის პირველი რიგის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ამ სირცხვილის რაც შეიძლება უსწრაფესად ჩამორეცხვა!

სხვაგვარად მომავლისკენ სვლა შეუძლებელი იქნება!

მოსამართლის გადაწყვეტილებამ დაზარალებული კიდევ უფრო დაზარალა 6

ძვირფასი სილუეტები

სპარტაკ ბაღაშვილი

თენგიზ არჩვაძე 9

რომელი წიგნები დაგვეხმარება გამოჯანმრთელებაში? 12

მწერლუკების შხამი

ბულაძის ახალი ოპერები, ახალი იუბილეები... 5

და ახალი „კაზანტიპი“

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტს ავლაბრის რეზიდენცია არ ეთმობა

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის უცნობია, რა ფუქნცია ექნება თბილისში, ათონელის ქუჩაზე მდებარე შენობას, რომელშიც ადრე პრეზიდენტის გადასვლა იგეგმებოდა.

— მე ხომ არ ვარ ქონების მართვის დეპარტამენტი — მე ვიცი, სადაც ვმუშაობ და ვიცი ის ფუნქცია, რა ფუნქცია აქვს ავლაბრის რეზიდენციას, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნული თემის კომენტირებისას.

მისი თქმით, დანარჩენ ქონებაზე შეკითხვა შესაბამის უწყებებს უნდა დაესვას.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ათონელის ქუჩაზე მდებარე შენობაში სამუშაოდ გადასვლას არ აპირებს.

ყურადღებით ვაკვირდებით მეზობლად მიმდინარე პროცესებს

„ყურადღებით ვაკვირდებით ჩვენს მეზობელ, მეგობარ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს და ვიმედოვნებთ, რომ მხარეები მალე მიაღწევენ თანხმობას და რეგიონში მშვიდობა აღდგება“ — ამის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს „ამბასადორიალი 2014“-ის გახსნის შემდეგ, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ორივე სახელმწიფო საქართველოსთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია, რათა დროულად მოხდეს მშვიდობის აღდგენა.

მოხდება თუ არა ახალაიას ექსტრადირება საბერძნეთიდან?

საბერძნეთის სასამართლო დათა ახალაიას საქართველოში ექსტრადირების საკითხზე მსჯელობას 6 აგვისტოს გააგრძელებს.

ჯერ უცნობია, დასრულდება თუ არა ექსტრადირების საკითხის განხილვა 6 აგვისტოს.

როგორც ცნობილია, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია რამდენიმე თვის წინ, საბერძნეთში დააკავეს. იგი საბერძნეთიდან იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. ახალაიას გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა და თანხის გადახდის შემდეგ, გაათავისუფლეს.

საქართველოში დათა ახალიას წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის და გირგვლიანის მკვლელობის საქმე.

ირაკლი ღარიბაშვილი: ვერც ერთ ქვეყანასთან ურთიერთობას ვერ გადაწონის ექსპრეზიდენტი, რომელსაც მძიმე დანაშაულებში ედება ბრალი და ყველაფერი ჯერ წინ არის

განცხადებები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ არ უნდა გამოიძიოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ წარსულში ჩადენილი შესაძლო დანაშაულები, პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავარ დემოკრატიულ პრინციპებს და ღირებულებებს, — ასე ეხმაურება პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის სამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებას.

პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ეს საქართველოს დასავლეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე უარყოფითად არ აისახება და ქვეყნის ევროპასთან იტეგრაციის პროცესს ხელს არ შეუშლის.

საჭიროა, ყველანი გამოძიების საბოლოო შედეგებს დაველოდოთ და სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლო დაადგენს ამა თუ იმ პირის დანაშაულებს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფთ პროცესის გამჭვირვალობას. ჩვენ ქვეყანაში რეალური დემოკრატიის მშენებლობა დავიწყეთ, ვართ სუვერენული სახელმწიფო, გვსურს ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, როგორიც არის თანამედროვე, განვითარებული ევროპული სახელმწიფოები. თუ ვაცხადებთ, რომ გვსურს თანამედროვე ევროპული ინსტუტების მშენებლობა, სადაც კანონის წინაშე ყველა თანაბარია, კანონის უზენაესობის პრინციპები იქნება დაცული, მაშინ არავინ უნდა იდგეს კანონზე მაღლა. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, დაუსჯელობა ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქვეყანაში. ეს არის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მთავარი მოწოდება, რომ საქართველოში დასრულდეს დაუსჯელობა და ყველა კანონის წინაშე იყოს თანასწორი. სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ ყოფილი პრეზიდენტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო, არის აბსურდი. ჩვენ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო და ვაშენებთ რეალურ დემოკრატიას, ვერც ერთ ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობას ვერ გადაწონის ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც ძალიან მძიმე დანაშაულებში ედება ბრალი და ყველაფერი ჯერჯერობით წინ არის“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა.

სააკაშვილი დღეს ერთი რიგითი ბრალდებულია

ამის შესახებ თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც განმარტება გააკეთა, მიხეილ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნის დაწყების შემთხვევაში, რა პროცედურები იქნება ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, როდესაც ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული, ხოლო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა შერჩეული, ასეთ შემთხვევაში ამ ადამიანს აქვს გარკვეული ვალდებულება, რომ წარსდგეს საგამოძიებო ორგანოს და სასამართლოს წინაშე.

„აქ შეიძლება გამოყენებული იყოს კანონით დართული მექანიზმი, მათ შორის საერთაშორისო, რაც ამ ადამიანს მიიყვანს გამომძიებლამდე და სასამართლომდე. იქნება ეს გვარად სააკაშვილი თუ სხვა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დღეს მიხეილ სააკაშვილი არის ერთი რიგითი ბრალდებული, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ამერიკაში სააკაშვილი მხოლოდ ცალკეულ წრეებს აინტერესებს

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არჩილ გეგეშიძე აცხადებს, რომ აშშ-ის გარკვეულ წრეებში მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით კითხვები და ინტერესი არსებობს, რაც ბუნებრივია.

როგორც ამ თემაზე ჟურნალისტებს არჩილ გეგეშიძემ განუცხადა, ქვეყნის ინეტრესებშია, რომ პროცესი მაქსიმალურად მაღალი დემოკრატიული ნორმების დაცვით წარიმართოს, რითაც პირველ რიგში საქართველოს დემოკრატია მოიგებს.

„ეს თემა ინტერესს იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვერ ვიტყვი, რომ საყოველთაო ინტერესის საგანია, მაგრამ არიან ცალკეული წრეები, ცალკეული ჯგუფები, იქნებიან ეს სენატორები, ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლები, თუ მედიასაშუალებები. კითხვები და ინტერესი ბუნებრივია. საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიის მშენებელი ქვეყანაა, ქვეყანაში საინტერესო პროცესები ვითარდება, განსაკუთრებით - ბოლო ხანებში. შეიცვალა ხელუსუფლება, ჩატარდა რამდენიმე წარმატებული არჩევნები. ყველა გვგულშემატკივრობს, რომ გზა, რომელსაც საქართველო ადგას, ქვეყანამ წარმატებით გაიაროს. ამდაგვარი განცხადებებით, ამდაგვარი შეკითხვებით ისინი მხარს უჭერენ საქართველოს და გვირჩევენ, რომ არ დავუშვათ რაიმე ნორმიდან, სტანდარტიდან გადახვევა. ეს არის კითხვები, რომლებსაც სჭირდებათ სათანადო ახსნა-განმარტება, მათ შორის სათანადო დიპლომატიურ მუშაობა და ეს პროცესი მიმდინარეობს, — განუცხადა ჟურნალისტებს არჩილ გეგეშიძემ.

◎ სახელმწიფო

შიდა ფინანსური კონტროლის პრობლემები საქართველოში

წლების მანძილზე ბევრ საჯარო დაწესებულებაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის უქონლობამ, სრულმა ან ნაწილობრივმა მოშლამ, სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენა. სწორედ ამიტომ, ყოველთვის საინტერესოა ინიციატივები, რომლებიც საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალობას უწყობს ხელს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ მიმდინარე კვირას გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია 2010-2012 წლებში — და, ნაწილობრივ, 2013 წელს — თორმეტ სამინისტროსა და თბილისის მერიაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის მდგომარეობა და გამოწვევები.

შიდა საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 2007 წელს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმებით, თუმცა, მისი რეალურად შესრულება 2010 წლიდან დაიწყო. ამ სისტემის მთავარი არსი ისაა, რომ ფინანსური პრობლემების აღმოჩენა თავად სამსახურის შიგნით ხდება და რეაგირებაც, შესაბამისად, მანამდეა შესაძლებელი, ვიდრე ამას კონტროლის პალატა თუ სხვა მაკონტროლებელი სამსახურები მოითხოვენ.

შიდა აუდიტის სუბიექტი დღეისათვის საქართველოში სულ 28 უწყებაში მოქმედებს, მათ შორის, 12 სამინისტროში, თბილისის მერიაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და ოთხ სამინისტროში და აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში.

შიდა აუდიტის სამსახურები არ აქვთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას. სამსახური შეიქმნა, თუმცა, ფაქტობრივად, არ ამოქმედებულა თავდაცვის სამინისტროში.

კვლევამ საკმაოდ განსხვავებული სურათი აჩვენა იმ უწყებების მიხედვით, რომლებსაც ასეთი სამსახური ოფიციალურად აქვთ. ანგარიშის თანახმად, 2010-2012 წლებში საუკეთესო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა ჰქონდა შემდეგ უწყებებს: საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

კერძოდ, ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში აქტივების დაცულობაზე ზრუნვა შეიძლება სამაგალითოდ ჩაითვალოს. საგარეო საქმეთა სამინისტრო შესწავლილი ერთადერთი მხარჯავი დაწესებულებაა, რომელმაც თავად მიაკვლია უკანონოდ გაწეულ ხარჯებს, დაადგინა ხარჯის გამწევი, გამოიკვლია მიზეზები და ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა ხარჯის უკანონოდ გამწევ პირებს და რეალურად განახორციელა მონიტორინგი შესრულებაზე, რაც პრინციპულობისა და აქტივების დაცულობაზე ზრუნვის უპრეცედენტო მაგალითია.

ჩამონათვალში ცალკეა გამოყოფილი სისტემები, სადაც 2010-2012 წლებში შიდა აუდიტის სამსახური ან საერთოდ არ არსებობდა, ან არასაკმარისად ეფექტურად მუშაობდა. ამ ჩამონათვალში არიან: რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შიდა აუდიტი ენერგეტიკის სამინისტროში, ფაქტობრივად, არ არსებობს, რაც განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ აყენებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობასა და კანონიერებას ამ უწყებაში.

მსგავსი კვლევების ერთ-ერთი მიზანია უწყებების წინაშე საბიუჯეტო სახსრების მეტი გამჭვირვალობის ამოცანა დააყენოს, მათზე სახელისუფლებო რეაგირება კი ტესტია იმის გასაგებად, რამდენად არის განწყობილი ხელისუფლება, გამჭვირვალედ ხარჯოს სახელმწიფო ფინანსები.

ნინო ევგენიძე

შაბათს, 2 აგვისტოს, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თავისი მომავალი მოადგილეები, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და გამგებლობის კანდიდატები წარადგინა.

როგორც კი თბილისის მთავრობის ახალი სია გამოქვეყნდა, მაშინვე გაჩნდა რამდენიმე შეკითხვა, რომელზეც პასუხები ჯერ არ გაცემულა, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეა საზოგადოების აქტიური განხილვის თემად არის ქცეული.

თბილისის ახალი ხელისუფლება და გადმოყოლილი შეკითხვები

სანამ თბილისის ახალი ხელისუფლების სიას წარმოგიდგენთ, მინდა, დავსვა ის მთავარი შეკითხვა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს დედაქალაქის მოსახლეობას:

როგორ და რა ნიშნით შეირჩა კანდიდატები და რატომ იყო საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში თავისი მომავალი ხელისუფლების შესახებ?

ეს შეკითხვა ძალიან აქტუალურია, რადგანაც თბილისის მთავრობის ბევრი წევრის მიმართ საკმაოდ არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს.

მეორე მთავარი შეკითხვა (შედარებით „მსუბუქი“) საკმაოდ „გულუბრყვილოა“. **თბილისის მერის დავით ნარმანიას ხუთი მოადგილიდან ოთხი სხვადასხვა მინისტრის ყოფილი მოადგილეები იყვნენ. ნეტა რატომ დააქვეითეს ეს ადამიანები? თუ მინისტრის მოადგილეობა უფრო დაბალი რანგის თანამდებობაა ვიდრე ქალაქის (თუნდაც, დედაქალაქის) მერის მოადგილეობა?**

სამწუხაროდ, არც ამ გულუბრყვილო შეკითხვაზეც არ არის პასუხი.

ახლა კი, მოდით, გავეცნოთ დედაქალაქის ახალ ხელისუფლებას:

მერის პირველი მოადგილის პოსტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი დაიკავებს. მერის მოადგილედ გადადის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხელაია. მერის მოადგილე იქნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე. მერის მოადგილის პოსტს ასევე დაიკავებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე გიორგი სოლომონია.

დავით ნარმანიას მოადგილე აგრეთვე იქნება საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს პროგრამების ყოფილი ხელმძღვანელი ნინა ხატისკაცი.

დავით ნარმანიამ გუშინვე თბილისის რაიონების გამგებლობის კანდიდატებიც წარადგინა.

საბურთალოს გამგებლობის კანდიდატი – ბექა მიქაუტაძე. ვაკის გამგებლობის კანდიდატი – გივი ჭიჭინაძე. მთაწმინდის გამგებლობის კანდიდატი – გელა არჩვაძე. ჩუღურეთის გამგებლობის კანდიდატი – ზურაბ ჩიკვილაძე. დიდუბის გამგებლობის კანდიდატი – ირმა ზავრადაშვილი. ნაძალადევის გამგებლობის კანდიდატი – ზაზა გაბუნია. გლდანის გამგებლობის კანდიდატი – ბესიკ ქარცივაძე. კრწანისის გამგებლობის კანდიდატი – გიორგი კოპალეიშვილი. ისნის გამგებლობის კანდიდატი – ვახტანგ ქიზიყურაშვილი. სამგორის გამგებლობის კანდიდატი – მამუკა ჩოქური.

ნარმანიამ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსისა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის კანდიდატებიც დაასახელა.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასახელებულია ეროვნული სატყეო სააგენტოს ყოფილი უფროსი ბიძინა გიორგობიანი, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსად – ირაკლი ბერეკაშვილი, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად – გეგი ნიჟარაძე, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად – გურანდა რომანაძე, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად – ავთანდილ სუდაძე, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად – ლევან თევზაია, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად – გელა ჩივიაშვილი, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად – პაატა ჯაჭვლიანი, შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად – დავით მორალიშვილი და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად – ვალერი პაპიაშვილი.

ამასთან, დავით ნარმანიამ ორი ახალი სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატები დაასახელა, რომელიც, მისი თქმით, თბილისის მთავრობის შემადგენლობაში არ შედის, მაგრამ ორივე მათგანი საკვანძო სტრუქტურაა. ახალმა მერმა არქიტექტურის სამსახურის უფროსად ნინო ღოღობერიძე, ქონების მართვის სამსახურის უფროსად კი გიორგი გაგოშიძე წარადგინა.

ბუნებრივია, რომ ყველა მათგანის სათითაოდ დახასიათებას არ დავიწყებ და არც გამგებლობის იმ ორ კანდიდატზე ვისაუბრებ, რომლებსაც პირადად ვიცნობ, ვიცი მათი წარსული და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ მათს პატიოსნებაში, წესიერებაში, სამშობლოსადმი, საქმისადმი ერთგულებაში და მაღალ პროფესიონალიზმში (საბურთალოს გამგებლობის კანდიდატი – ბექა მიქაუტაძე და სამგორის გამგებლობის კანდიდატი – მამუკა ჩოქური), მაგრამ ზემოთ მოყვანილ სიაში არიან ადამიანები, რომელთა შესახებ საკმაოდ ბევრი დაწერილა, თქმულა (რბილად რომ ვთქვა, არც თუ ისე დადებით კონტექსტში) და საზოგადოებასაც საკმაოდ არაერთგვაროვანი შეხედულება აქვს.

პირველი, ვისმა დანიშვნამაც საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, ნაძალადევის გამგებლობის კანდიდატი ზაზა გაბუნიაა.

მე მგონი, ყველამ კარგად ვიცით ამ ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიის პოლიტიკური ნაწილი. ის ნაწილი, რომელიც „მუდმივი ცვლილებებით“ იყო აღსავსე და ხალხის კეთილგანწყობას მაინცადამაინც არ იმსახურებდა. მის შესახებ ბევრს არ ვილაპარაკებ, უბრალოდ მოვიყვან სოციალურ ქსელ ფეისბუქში გავრცელებულ ერთ პოსტს: რა დაუშავეს ნაძალადეველებმა „ოცნებას“ ისეთი, რომ დეპუტატად თამარ კორძაია „დაუნიშნეს“ და გამგებლად ზაზა გაბუნია?

მერის პირველი მოადგილე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი იქნება.

სწორედ მას უკავშირდება საყდრისის თემა და სამინისტროს მიერ გასული წლის იანვარ-ნოემბერში გახარჯული 4 მილიონი ლარი, რომლის შედეგიც საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის კულტურულ ცხოვრებაზე, რბილად რომ ვთქვა, მაინცადამაინც არ ასახულა. ასევე შესასწავლია კულტურის სამინისტროს მიერ ე.წ. სასაჩუქრე ბროშებისა და სხვა უაზრო ატრიბუტებში გახარჯული თანხები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გაასაჯაროვა და რომლებიც სწორედ ალექსანდრე მარგიშვილის ხელმოწერის შემდეგ გაიცემოდა.

და ბოლოს სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტზე წარდგენილია გელა ჩივიაშვილი.

ჩვენს გაზეთში ამ რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა მასალა თბილისის ერთ-ერთი უსახლკარო მოქალაქის შესახებ, რომელიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებას ითხოვდა. მან სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გელა ჩივიაშვილისგან მიიღო პასუხი, რომელშიც ეწერა, რომ უსახლკარო ადამიანს ვერ მიანიჭებენ სოციალურად დაუცველის სტატუსს, რადგანაც მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც სოციალური მუშაკი ვერ განახორციელებს ვიზიტს (როგორ მოგწონთ სიტყვა „ვიზიტი“?) და ვერ დაითვლის იმ ყბადაღებულ ქულებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უსახლკარო ადამიანს ვერ მიენიჭება სოციალურად დაუცველის სტატუსი, რადგანაც მას სახლი არ გააჩნია.

აბსურდია ხომ?

არა ბატონებო. ეს კანონით გათვალისწინებული ნორმა ყოფილა და, ცხადია, რომ ახლად დანიშნულ თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს კანონი არ დაურღვევია, მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ ის დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობდა უაზრო, ამორალური და შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივიც იყო? თუ იცოდა, მაშინ რატომ არ გამოიჩინა ინიციატივა შეცვლილიყო ეს ნორმა? გამოდის, რომ მისი მუშაობის მთავარი პრინციპი ყოფილა „ოღონდ არაფერი გავაფუჭო და რამეს გაკეთება ჯანდაბასო“.

ასევე მის შესახებ არის საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია.

2011 წლის 14 თებერვალს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯანდაცვის სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მაღალჩინოსნები და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები დააკავეს (შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე http://1tv.ge/news-view/22766).

მათ სახელმწიფო დაზღვევისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მითვისება ედებათ ბრალად. დაკავებულია 16 ადამიანი, საიდანაც შვიდი მომსახურების სააგენტოს თანამშრომელია. სხვებთან ერთად დაკავებულთა შორის იყო სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

ძალიან საინტერესოა, როგორ გაათავისუფლეს იგი (კარგად დააკვირდით, ეს ყველაფერი 2011 წლის თებერვალში, ანუ ნაცრეჟიმის ზეობის პერიოდში ხდება. იმ პერიოდში, როდესაც რაღაც შეთანხმებების გარეშე ციხის ტერიტორიიდან ბუზიც კი ვერ გამოფრინდებოდა). ასევე საინტერესოა, როდის და როგორ აღადგინეს თანამდებობაზე.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ კიდევ უამრავი შეკითხვა არსებობს. არსებობს შეკითხვები, რომლებსაც საზოგადოება სვამს და რომლებსაც პასუხები აუცილებლად უნდა გაეცეს.

ჩემი მხრიდან კი ჩვენი დედაქალაქის ახალ მთავრობას წარმატება მინდა ვუსურვო და ვთხოვო, არ გაიმეორონ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი უმთავრესი შეცდომა – აბუჩად არ აიგდონ საზოგადოებრივი აზრი.

გია გაბრიჭიძე

სად იმალება მიშას მილიონები?

ორი ფაქტორი, რომელიც სააკაშვილს აშინებს

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე თვლის, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ორი ფაქტორია საშიში.

„პირველი –წერილი გაეროდან. გაეროში შესულია წერილი ჰააგის სასამართლოდან - მოგეხსენებათ, ჩვენ, 2010 წელს სააკაშვილის წინააღმდეგ შევიტანეთ სარჩელი და ის ბრალდებები, რაც დღეს სააკაშვილის მიმართაა წაყენებული, ჰააგის იმ სარჩელიდანაა ამოღებული. ეს დოკუმენტები გაეროსაც ჰქონდა გადაგზავნილი - ამიტომაც, სააკაშვილისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია, არ წაეყენოს მას ორი მუხლი, ეს არის რომის სტატუტის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ბრალი, რაც გულისხმობს დანაშაულს კაცობრიობის წინაშე და სამხედრო დანაშაულს. სწორედ ამ ორ მუხლზე გააკეთა მინიშნება გაერომ მის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციაში - პირველი ეს არის, რაც აშინებს სააკაშვილს - აქ უკვე არანაირი იმუნიტეტი არ მოქმედებს, არ მოქმედებს პოლიტიკური თავშესაფარი და სააკაშვილი არა მარტო საქართველოს სასამართლოს, არამედ, საერთაშორისო სასამართლოს სუბიექტი ხდება.

მეორე – არსებობს საქართველოში რამდენიმე ადამიანი, ვინც იცის, სად იმალება სააკაშვილის მილიონები - პირველი, ესაა კეზერაშვილი, მეორე ადეიშვილი და მესამე ბეჟუაშვილი. გასაგებია, რომ კეზერაშვილი და ადეიშვილი არ არიან საქართველოში, მაგრამ სანამ ბეჟუაშვილი საქართველოშია, მოვუწოდებ პროკურატურას, დაინტერესდნენ ამ საკითხით. აი ეს ორი საკითხია, რაც სააკაშვილს აღელვებს“, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ გუშინ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ინტერპრესი

დასჯიან თუ არა ავანტიურისტ სააკაშვილს?

***სააკაშვილის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულის აღძვრამ დიდი გნიასი გამოიწვია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. განსაკუთრებით აქტიურობს რუსეთის პრესა და ელექტრონული მედია, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მთავარი პოლიტიკური შემოქმედება რუსი პოლიტიკოსებისა და რუსეთის ლანძღვა-გინებისკენ იყო მიმართული.*

სამწუხაროდ, დღემდე არ მსმენია რუსი პოლიტიკოსების ან პოლიტოლოგების მხრიდან არგუმენტირებული პასუხები იმ ლაყბობებზე, უდავოდ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელზე, რასაც სისტემატურად მიმართავდა პრეზიდენტ-ყოფილი, ავანტიურისტი სააკაშვილი.

ყველას კარგად გვახსოვს მის მიერ წარმოთქმული მგზნებარე სიტყვა „თავისუფლების“ მოედანზე, აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის მასპინძლობის დროს. მაშინ მან რუსეთი იმ მუსლიმანური ქვეყნების აგრესიას გაუთანაბრა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. მეზობელი ქვეყნის ესოდენი შეფასება პირველი იყო ქართულ პოლიტიკაში. სააკაშვილმა, მისთვის ჩვეული მზაკვრულობით, გზა გაუხსნა რუსეთის უკიდეგანო განქიქებას, რამაც ცუდის მეტი არაფერი მოუტანა ქვეყანას.

სააკაშვილის გამოსვლა მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ ხაზგასმით მეთქვა: არც რუსეთს, არც ჩვენს მუსლიმ მეზობლებს იმდენი ზიანი არ მოუტანია ქვეყნისთვის, რაც სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა მოუტანეს.

ტრაგედია, რომელიც ამ პიროვნებამ დაატრიალა ქვეყანაში, სერიოზული შესწავლის საგანია. სააკაშვილმა არა მარტო 2008 წლის აგვისტოს ომი წააგო, არამედ ქვეყნის ტერიტორიებიც დაკარგა და ასეულობით სამხედრო თუ მშვიდობიანი მოქალაქე საიქიოს გაისტუმრა. როგორც ამბობენ, განუზომელია მისი წვლილი გახმაურებულ მკვლელობებში, ხალხის დარბევაში, ქონების ჩამორთმევაში, უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრებაში, მათ წამებასა და სახელმწიფო ქონების დატაცებაში.

მაგრამ ეს უმძიმესი დანაშაულები არაფერია მთავართან - ერის გადაგვარებასთან. თითქმის ათწლიანი მმართველობის განმავლობაში სააკაშვილმა მიწასთან გაასწორა საქართველოს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, განათლების სისტემა და კულტურა, ყველაფერი ის, რაზეც სახელმწიფო უნდა აშენებულიყო. მან შრომის უფლება წაართვა 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს, აიძულა რა ისინი ლუკმა-პურის საძებნელად უცხოეთში გადახვეწილიყვნენ. ვინც წასვლა ვერ მოახერხა, დარდითა და ნიჰილიზმით დაავადებულნი დავრდომილებად იქცნენ, ზოგიც რახანია გაეცალა ამ ქვეყანას და დამძიმებული სულით საიქიოს შეუერთდა.

როდესაც სააკაშვილს, ცნობილი ადამიანების სიკვდილს აბრალებენ, დანაშაულია, მაგრამ გაცილებით მეტი დანაშაულია ის, რომ მან, თავისი ბოროტი პოლიტიკით ასეულ-ათასობით ოჯახი გააუბედურა, ცხოვრებიდან გარიყა და უნაყოფო მწერად აქცია.

სააკაშვილმა ჩაკლა ეროვნული სულისკვეთება, პატრიოტიზმი და ეს სიტყვებიც დაცინვის ობიექტად აქცია. თითქმის ათწლიანმა ბატონობამ ერს დაუკარგვინა ყოველივე ის, რითაც სხვისგან უნდა გამოირჩეოდეს, გადააქცია ინდიფერენტულ არსებად, უბალახო მინდორს შესეულად.

დღევანდელი ქართველი, ისე გულიანად აღარ რეაგირებს საქვეყნო საქმეებზე, როგორც გუშინდელი, თუნდაც საბჭოელი. გახსოვთ ალბათ, რა ამბავი ატეხეს თბილისელებმა, როდესაც სასტუმრო „ივერიის“ წინ, რუსთაველის პროსპექტის შუაგამყოფად არსებული ხანდაზმული ხე მოჭრეს პარტიულმა ფუნქციონერებმა - პარადს ხელს უშლისო. უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, ხელისუფლება იძულებული შეიქმნა ახალი ხე დაერგო.

დღეს, არათუ ხეს, ტყეებს ჩეხავენ, ისტორიულ შენობებს ანგრევენ, უხამს შენობა-ნაგებობეს აშენებენ, ტროტუარებზე გაუგებარი დანიშნულების ნაგებობებს დგამენ და არც არაფერი. ჩაუვლით, შევხედავთ და ვითომც არაფერი, გზას ვაგრძელებთ. რამდენჯერ ჩავუარეთ ველოსიპედის „ქანდაკებას“ ზედ ქალაქის ცენტრში!

სააკაშვილი არ არის, მაგრამ არის მისი „შემოქმედების“ ნაყოფი, არა მარტო უხამსი ძეგლების სახით, არამედ ინდიფერენტული საზოგადოების სახითაც, არის ახალგაზრდა მოხელეთა შეურაცხმყოფელი ქცევა, უვიცთა მხრიდან თავდაჯერება, თავხედობა და რაც მთავარია მცდარი შეგრძნება იმისა, რომ მათ ყველაფერი იციან.

სააკაშვილი არის ავტორი მორჩილი ახალგაზრდების სახელმწიფო თანამდებობებზე განწესებისა. უცოდინარი, გამოუცდელი, მოტლიკინე ახალგაზრდების გამინისტრებისა. მინისტრების პერმანენტული როტაციისა, პროფესიონალიზმის უარყოფისა და ა.შ.

სააკაშვილისეული მანკიერი თვისებები „ოცნების“ ხელისუფლებასაც უხვად აქვს, რაც აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ მანკიერება იოლად ვერ აღმოიფხვრება, რომ მის გამოსწორებას წლები დასჭირდება.

სააკაშვილმა უარი თქვა პროფესიონალურ განათლებაზე, რაც თავისთავად ნიშნავს სასწავლებლებზე უარს. როდესაც პროფესიით ექიმს სოფლის მეურნეობას ჩააბარებ, სპორტსმენს — ჯანდაცვას, პედაგოგს — ფინანსებს... ქვეყანა არეულია. მცდარია მოსაზრება, რომ კარგი მენეჯერი ყველა დარგს გაუძღვება.

სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები 5-8 წლებში ვერ ეტევა და თუ არსებობს სამართალი, ის გაცილებით მეტით უნდა იყოს განსაზღვრული, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობით. არც ერთ ჩვენგანს არ უნდა აღმოხდეს — „რაღაც ხომ გააკეთა“ ან „არასასიამოვნოა, როდესაც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს პასუხისგებაში აძლევენ“. არასასიამოვნოა, როდესაც ცხელ ზაფხულში თბილ ლიმონათს შემოგთავაზებენ, მაგრამ ქვეყნის დამაქცევართათვის შესაბამისი ვერდიქტის გამოტანა — სამართლიანობაა.

დამნაშავე პრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემის საკითხი სხვაგვარად უნდა იზომებოდეს. დროა, საქართველოში წერტილი დაესვას პრეზიდენტის ღმერთთან გატოლების მცდელობას. დროა, საქართველომ სხვა თვალით, მეტადრე კრიტიკულით, შეხედოს პრეზიდენტის, პრემიერის, მინისტრების საქმიანობას.

დროა, შევიგნოთ, რომ პრეზიდენტი ჩვენ მიერ დროებით არჩეული პირია, რომლის უპირველესი მოვალეობაა ჩვენი სამსახური, ანუ ძვეშნის, ხალხის სამსახური. პასუხისგებაა, სულაც არ ნიშნავს — ვიღაცის დასჯის სურვილს, შურისძიებას. არ ჩაიდენენ დანაშაულს და არც არავინ იფიძრებს პრეზიდენტის ან ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირის დასჯას.

შევინდოთ, პრეზიდენტი იყოო — მსგავსი სისულელე თავში არავის მოუვა იმ ევროპაში, საითაც ვითომ მივდივართ. და არა მარტო ევროპაში. შორს წაგვიყვანეს გადამდგარი თუ მოქმედი პრეზიდენტების გასამართლების ამბები. ზოგი დღესაც იხდის სასჯელს, რაც კარგად მოეხსენებათ იმ დასავლელ პოლიტიკოსებს, ვინც სააკაშვილს ესარჩლებიან და თვლიან, რომ საქართველოში პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი.

არის თუ არა ეს გასაკვირი? — ნამდვილად არა. ისინი წლების განმავლობაში, სააკაშვილის წყალობით, შესეული იყვნენ მწვანე ქართულ ბალახს, ესოდენ ნოყიერსა და სასარგებლოს და ასეც გააგრძელებდნენ, სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში.

დასავლეთისთვის იმ ფასეულობებზე ლაპარაკი, რომელიც სულიერებას უკავშირდება, რახანია ჩანაცვლებულია ტყუილით, ფალსიფიკაციით, მოჩვენებითობით. ევროპა, საითკენაც ჩვენ მივდივართ, რახანია სხვა ფასეულობებით ცხოვრობს, ჩვენი გაგებით რომ შორსაა „ფასეულობებისგან“.

როდესაც ვამბობთ ევროპას, ვგულისხმობთ ყოველივე იმას, რაც ამოვიკითხეთ კლასიკად ქცეულ ევროპულ ლიტერატურაში. დღეს, სხვა ცხოვრებაა — ერთსქესიანთა ანუ... კაცის და კაცის, ქალის და ქალის ქორწინების ჟამი; გეი-პარადების, ხელისუფალთა ავხორცობის, ხელმრუდობის ჟამი. ამდენად, მათი კარნახი ან შთაგონება, სულაც არ ნიშნავს ჭეშმარიტებას. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ სააკაშვილისადმი მსგავსი დასავლური თანადგომა „ხელი ხელს ბანს“ — პოლიტიკითაა გამოწვეული, რაც იოლი დასაძლევი არ არის.

დათანხმდება ამერიკა-ევროპა სააკაშვილის დატუსაღებას? ძნელი სათქმელია, ვინაიდან სააკაშვილთან ერთად დაინგრევა „დემოკრატიის შუქურის“ ზღაპარი, ესოდენ გაპიარებული აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ. სააკაშვილი რომ მეტი ასაკის იყოს, კიდევ შეიძლება რაღაცის ფიქრი, მაგრამ სააკაშვილი იმ ასაკშია, როდესაც დასავლეთში პოლიტიკას იწყებენ.

ამერიკისთვის სააკაშვილი სწორედ ისაა, ვინც ნებისმიერ დროს გამოდგება, როგორც რუსეთის სალანძღავად, ისე უკრაინის უმძიმეს შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში არამკითხე მოამბის სიმბოლოდ.

სააკაშვილი შეუდარებელი ავანტიურისტია. ასეთებს არ წირავენ, არც პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრიან. ასეთს უფრთხილდებიან — სამომავლო „საგმირო“ საძმეებისთვის.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სასწორზე შემდგარი სააკაშვილი გადაწონის საქართველოს და გადაწონის იმიტომ, რომ დასავლეთს საქართველო ხშირად ცალ ფეხზე ჰკიდია...

დასავლეთს ინტერესები ამოძრავებს და არა ქართული ისტორიის ან კულტურის პატივისცემა. ამ ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სააკაშვილსა და მის ნაცებს.

ნუთუ, ასეთიაო დასავლეთი? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. დიახ, ასეთია! და ასეთი იყო, თუნდაც 100 წლის წინათ, როდესაც ახალგაზრდა სახელმწიფო, ერთობ სუსტი და ჩამოუყალიბებელი, შუაგზაზე მიატოვა და ზურგი აქცია მას. ასე იყო თუნდაც 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთთან ჭიდილს, გაყუჩება ამჯობინა. ასე იყო თითქმის ათი წლის განმავლობაში, როდესაც ავანტიურისტ სააკაშვილს ქვეყანა ანგრევინა. ასე იქნება დღესაც და ხვალაც, როდესაც ძებნილ სააკაშვილს, ნაცვლად სამშობლოში ექსტრადიციისა, თბილ ბუნაგს მიუჩენს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ალიანჩალიანი

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრებს შორის რუსეთი 65%-ით ლიდერობს

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის 7 თვეში მსოფლიოს 35 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 31 376 279 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 95%-ით მეტია.

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი, სადაც რუსეთი ლიდერობს 65%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 7 თვის მონაცემებით 20 502 499 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი.

საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 102 186 500 აშშ დოლარის პროდუქცია, რაც 117%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ასევე, საანგარიშო პერიოდში 12 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 455 295 (0,5ლ) ბოთლი ბრენდი. წლის განვლილ 7 თვეში, ბრენდის ექსპორტმა თანხაში 22 973 604 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 66%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ბრენდის ექსპორტში ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-ივნისის პერიოდში ექსპორტმა 3 163 572 ბოთლი შეადგინა. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილს 2 106 576 ბოთლით რუსეთი იკავებს.

ინტერპრესი

ბუღაძის ახალი ოპერები, ახალი იუბილეები...

და ახალი „კაზანტიპი“

საძართველო „კაზანტიპის“ მოლოდინშია. იქნება თუ არა ეს დღეები სოდომ-გომორის დასაწყისი სამეგრელოში და რა სულიერ და მატერიალურ მოგებას მიიღებს ქვეყანა, სულ მალე დავინახავთ. მაგრამ... იქ სადაც არ ისმის ერის ხმა და აქტიურად არ ჩანან ის ადამიანები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ საზოგადოების სულიერი მეტრი, გასაკვირი არაფერია.

ნეტა, რას ფიქრობენ ჩვენი კულტურული ელიტის წარმომადგენლები, მოაზროვნეები, მწერლები? სხვათა შორის, ამის გასაგებად ინტერნეტში დავათვალიერე რამდენიმე „ცნობადი“ ადამიანის გვერდი, რათა მათ პოზიციაზე მეტნაკლები წარმოდგენა შემქნოდა. აქ გადავეყარე მწერალ ლაშა ბუღაძის „ნააზრევებს“, რომლებიც რადიო „თავისუფლების“ გვერდზე არის განთავსებული. ჩემი ყურადღება მიიქცია წერილმა **„ახალი ოპერები, ახალი იუბილეები“,** სადაც ლაშა ბუღაძე პატრიარქის აღსაყდრებასთან და სხვა იუბილეებთან დაკავშირებით თავის აზრს გამოთქვამს, რა თქმა უნდა, სატირულად, მისთვის ჩვეული სარკაზმით.

მინდა, შემოგთავაზობთ ამ „ესსეს“ სრული ვერსია.

„უკვე თვლა ამერია, წელიწადში რამდენი იუბილე აქვს ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს! მგონი, საერთოდ უნდა შევეშვათ იულიუს კეისრისა და პაპ გრიგორიუსის კალენდრებზე დავას და მისი უწმინდესობის იუბილეების მიხედვით ავითვალოთ ჩვენი დღეები.

მაგალითად, ასე:

სავარჯიშო №1 - ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“ დაიწერა ჩვ. პატრიარქის ინტრონიზაციამდე თექვსმეტი გაზაფხულით ადრე.

ან ასე:

სავარჯიშო №2 — ხოლო ო. თაქთაქიშვილის გამოუქვეყნებელი ოპერა „სევდია“ დაიწერა ჩვ. პატრიარქის პირველი საინტრონიზაციო ტრაპეზობიდან ორი შემოდგომის თავზე.

შესაძლებელია ასეთი ცნობაც: თემის აქტუალურობის გათვალისწინებით, ჩვ. პატრიარქის მომავალი საიუბილეო დეკადისათვის დაგეგმილია ო. თაქთაქიშვილის ორივე ოპერის შეზავება, რომელსაც ახალი სათაურით წარმოადგენს თბილისის მოხეტიალე საოპერო დასი: „მინდია და სევდია“, ქვესათაურით: „რაღა გვაქიშპებს, ჩვენ ხომ ერთი კირით ვართ ნაზელი“.

აგერ, უკვე თვალწინ მიდგას პირველი სცენა.

სანდომიანი ქალბატონი სანთლით ხელში დაიარება მერიის დერეფნებში და ტირილით ასრულებს სევდიან არიას: „მერო, სადა ხარ, ლამაზო?“

სევდიან ქალბატონს მელანქოლიურად ეხმიანება სცენის უკან დაბანაკებული ქორო: „მერი თავად ხარ, რას ეძებ, შებრუნდი სათათბიროში...“

შემდეგ მინდიას კაბალეტაა: „სადაა განძი, სადაა, სად დადვეთ მილიონები!“

იწყება პოლემიკური დუეტი, სცენაზე ახალნაკურთხი რაინდი შემოდის და დარბაისლური ენთუზიაზმით მღერის თავის სტრეტას: „გადაშენების პირას ვართ, ვაჩინოთ სუფთა ბავშვები!“

სტრეტა მაღალი დო-თი მთავრდება.

სევდიანი ქალბატონი სინკოპურად სვამს დისონანსურ შეკითხვებს: „როგორ ვაჩინოთ? ყველა პატრიარქმა მოგვნათლა — ნათესავები ვართ ყველანი!“

რაინდი ცხენზე ჯდება და გასძახის: „ეს ვერ დაგვაბრკოლებს, ევროპაში მოიკითხონ ინცესტი!“

ოპერა პატრიარქის AVE CAESAR NORDIUM-ით სრულდება, რომელსაც სპეციალურად ამ საღამოსთვის დაწერს კომპოზიტორი ნიკოდიმე რაჭველი, ხოლო უკანასკნელ მჭექარე ფრაზას მსოფლიობანი დაპჭუხებს: „წინ, მახათასკენ! მარტო ბიზნესმენები ნუ შეგვეხმიანებით, ყველამ გადმორიცხოს, თორემ არ ჩამოვა ღვთისმშობელი (ფრაზა ორიგინალურია, ლიბრეტისტებს არ შეუთხზავთ)“.

მერე იქნება ტრადიციული მუსლზე დაჩოქება და ხელზე ამბორყოფა, რადგან ცნობილია, რომ ამ ანგარებიანი კოცნაჩოქებების გარეშე შეუძლებელია როგორც პოლიტიკაში, ასევე სასუფეველში შესვლა.

ისე კი, ოპერა იქით იყოს და, ყოველთვის მაინტერესებდა, ნეტა სულ ოდნავ მაინც არ ღიზიანდება პატრიარქი, როცა პოლიტიკოსები ასე აკრობატულად (და გავბედავ, ვთქვა, ფარისევლურად) იწყებენ ღოღვას მის წინაშე? თუ ერთმნიშვნელოვნად გადაჩვეულია ამაზე გაღიზიანებას და პირიქით, ძალიან სიამოვნებს კიდეც?! ნეტა რამდენად სასიამოვნოა, როცა გკოცნიან და თან მკოცნელთა თვალებში მხოლოდ კონკურენტის აზარტს, ანგარებას, ან კი ძლივს დამალულ შიშს ხედავ?! თუ ვერც ვერაფერს ხედავ ასეთ დროს?

თუმცა იმათიც მესმის, სხვა რა გზა რჩებათ, „ოთხმოცდათოთხმეტი პროცენტი“ უნდა კოცნონ, „ოთხმოცდათოთხმეტი პროცენტის“ წინაშე უნდა იღოღონ, თორემ წმინდანობას აქ არც არავინ აპირებს...

სად წმინდანები და სად იუბილეები, ეს მხოლოდ ოპერაა, ნატურალური აქ არაფერია. “

კომენტარმაც არ დააყოვნა: „ეს რა დაწერე ერთუჯრედიანო შხამიანო ამფიბია? ეგ საცეცე-

◎ ინფორმაცია თემაში

„კაზანტიპელებს“ გამჩენი არ ასვენებს

სტუდენტები „კაზანტიპზე“ დასასწრებად 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ, — ამის შესახებ საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პრეზიდენტმა ნოდარ თათვიძემ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულ აქციას სტუდენტთა უფლებების ლიგა და „კაზანტიპის რესპუბლიკა“ ერთობლივად ახორციელებენ.

— ერთობლივ აქციას ვთავაზობთ სტუდენტებს, რომლის თანახმად, სტუდენტები „კაზანტიპზე“ დასასწრებ ბილეთებს 50%-იანი ფასდაკლებით შეიძენენ. ამჟამად „კაზანტიპზე“ დასასწრებად ვიზა 400 ლარი ღირს, სტუდენტები კი ვიზას 200 ლარად შეიძენენ, — აღნიშნა ნოდარ თათვიძემ.

ბი უნდა დაგინაყოს კაცმა, რომ ვერ აცეცო“; „ბოლო 9 წელი საქართველოს ისტორია ვარდების რევოლუციით რომ იწყებოდა, მაშინ რატომ არ ტლიკინებდი ასე?“ „ისე, ასეთების წერას ჯობია, დასხდეთ შენ და მამაშენი და „კრუგში“ აფურთხოთ ერთმანეთს!“ „ეს ნახევარქათამა! ეს კაცი პროვოკაცია! რას გავხარ, შე უპატრონო“; „არაკაცი ხარ შენ, ლაშა ბუღაძე! მუწუკი ხარ, მეტი არაფერი. შენთვის მარტო ფულია „94 პროცენტი“ და ეგ არის შენი სათაყვანებელი. არადა შენნაირ კაცს რომ ვინმემ აგინოს, ან იკადროს, და ხელი გაისვაროს, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა დააბრალონ. ესაა სამართალი? შენნაირ ხალხს საერთოდ უნდა აუკრძალონ, რომ აზრი გააჩნდეს“...

* * *

შეიძლება მავანი ფიქრობს, რომ ბუღაძის აზრი არაფერს წარმოადგენს საზოგადოებისთვის, მაგრამ, როცა ამ მწერლუკას „წიგნები“ მემკვიდრეობად დარჩება შთამომავლობას, ხომ საინტერესოა, რას ფიქრობს ის თანამედროვეობაზე. თუნდაც „კაზანტიპზე“. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ილია II-ს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ენდობა, სჯერათ მისი და ყოველი მისი ქადაგება მისაღებია. „კაზანტიპთან“ დაკავშირებით საპატრიარქომ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ვიცით, რომ სამღვდელოება კატეგორიული წინააღმდეგია! მაგრამ ვინაიდან, ბუღაძეს ზოგადად პატრიარქი აღიზიანებს, ალბათ, არც მისი მოსაზრება მოეწონებოდა. ამბობენ, რომ „კაზანტიპი“ ევროპული წარმონაქმნია (ყოველ შემთხვევაში ის არ არის ქართული ფენომენი), ხოლო თუკი კვლავ ბუღაძეს დავესესხებით, „არა ევროპას“ ნიშნავს „არა საქართველოს“. ინტერნეტ მომხმარებელი ლეო ირბახი, რომელიც ბუღაძის ნააზრევებისა და შემოქმედების მკაცრი კრიტიკოსია, საკმაოდ საინტერესოდ ხსნის თავისუფლების ცნებას, რომელიც როგორც ზოგიერთები ამბობენ, თურმე „კაზანტიპის“ მაგვარ დღეასასწაულებს მოაქვს. მინდა, ეს მოსაზრება თქვენც გაგიზიაროთ: **„ნეოლიბერალებისთვის (ანუ ბუღაძისნაირებისთვის) თავისუფლების გაგება უკიდურესად აღემატება მათ სულიერ — ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. მათთვის თავისუფლება არის არა სულიერი მდგომარეობა, არამედ მოხმარების საგანი, რომელიც ხორცის შეუზღუდავ გადაადგილებას ემსახურება სიბრტყეზე. თავისუფლება კი თავისი არსით არის ფუნდამენტი, რომელსაც სამართლიანობა და დემოკრატია ემყარება.**

იყო სრულფასოვანი — ნიშნავს იყო ფასეული სრულყოფილების მისაღწევად... სრულყოფილება (სრულქმნა) მუდმივი პროცესია და ამ ფენომენთან მისაახლოვებლად, უპირველეს ყოვლისა, ცოდნა და სიღრმისეული აზროვნებაა საჭირო.

უმეცრება, როგორც ნეოლიბერალური, ისე რელიგიური, საფუძველშივე შეუძლებელს ხდის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებას... შედეგად ვიღებთ ვითარებას, როდესაც განადგურებულია ინდივიდისა და ერის არსებობისთვის ორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საყრდენი — თავისუფლება და რელიგიური რწმენა, რომელთა აბსოლუტური გამოსახულებაც არის ღმერთი.

„ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ვარგის ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა!“ — ბრძანებს უფალი“.

შეძლებს თუ არა „კაზანტიპი“ რაიმე ღირებული მოუტანოს ქვეყანას, ხალხს, საზოგადოებას? არის კი ერი მზად სულიერებისგან დაცლილი თავისუფლების მისაღებად?! და ეს ელექტრონული მუსიკა, რომელიც „ხმაურთან“, რიტმულ „კაკაფონიასთან“ ასოცირდება, ნეტა, რას შემატებს ახალგაზრდულ გემოვნებას? ჯერჯერობით, „კაზანტიპის რესპუბლიკაში“ პირველი უარი უთხრეს — სექსს! მაგრამ, ერის კულტურული ნაწილი არ აპელირებს მხოლოდ ამ ერთობ ბუნებრივ აქტზე, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კონსტიტუციურად ისედაც იკრძალება, არამედ აქცენტს აკეთებს სწორედ იმაზე, რასაც უფალი ბრძანებს: ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ვარგის ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა!..

ვნახოთ, რა მოხდება.

ნია ფიფია

◎ ალიანჩალიანი

უცხოელებისთვის საქართველოში შემოსასვლელად ახალი რეგულაციები ამოქმედდება

ამ თემაზე გუშინ განმარტებები საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ გააკეთა. ახალი კანონით სიახლეები სამი მიმართულებით შემოდის. ეს ეხება სავიზო რეგულაციებს, ბინადრობის ნებართვების გაცემას და არალეგალურად მყოფი მიგრანტის საქართველოდან გაძევებას.

გიორგი ტაბატაძემ სავიზო რეგულაციებზე გაამახვილა ყურადღება. „ძირითადი ცვლილება არის ის, რომ ქვეყანაში შემოსვლა შესაძლებელი იქნება 180-დღიან პერიოდში 90 დღით. ეს ეხება უვიზო ქვეყნების მოქალაქეებს და იმ ქვეყნების მოქალაქეებს, სადაც სავიზო რეჟიმი მოქმედებს. სიახლეა ისიც, რომ იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სურვილი აქვს საქართველოში უფრო მეტი ხნით შემოვიდეს ანუ გრძელვადიანად — სასწავლებლად, სამუშაოდ ან ოჯახის გაერთიანების მიზნით, ამ შემთხვევაში მათ საემიგრაციო ვიზის აღება მოუწევთ“, — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი ტაბატაძემ.

კანონში განხორციელებული ცვლილებებით საკანონმდებლო დონეზე არ იქნება განსაზღვრული იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, სადაც უვიზო რეჟიმი იმოქმედებს. ასეთი ქვეყნების სიას მთავრობა საკუთარი დადგენილებით განსაზღვრავს. გიორგი ტაბატაძის ცნობით, სახელმწიფოთა სია, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსვლა უვიზოდ შეეძლებათ, აგვისტოს შუა რიცხვებში გახდება ცნობილი. „უვიზო რეჟიმი ექნებათ ევროპის ქვეყნების, ნატო-ს წევრი, დსთ-ს წევრი და საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებს“, — აღნიშნა გიორგი ტაბატაძემ.

ინტერპრესი

◎ ვინ არის დამნაშავე?

მოსამართლის გადაწყვეტილებამ დაზარალებული კიდევ უფრო დააზარალა

„არენა სითის“ და ენუქიძეების საქმე

განსჯისთვის გთავაზობთ ამბავს, რომელიც უკვე განიხილა საქალაქო სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ და რომელზეც ორივემ სხვადასხვა განაჩენი გამოიტანა. საქმე ახლა უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება და საბოლოო ვერდიქტს კიდევ სხვა მოსამართლე გაარკვევს... მაგრამ იქამდე, საინტერესოა ამ საქმის არსი და ლოგიკა, რადგან შეიძლება ბევრისთვის ნაცნობი თემაც კი იყოს, იმდენად მომრავლდა მსგავსი სიტუაციები, ჩვენდა სამწუხაროდ.

სამოქალაქო სამართლის ეს საქმე დაზარალებულმა მხარემ მოგვაწოდა, ბატონმა **თამაზ დაუშვილმა,** რომელიც მიიჩნევს, რომ ბოლო გადაწყვეტილება უსამართლოა. საქმე მიმდინარე წლის 19 ივლისს განიხილა სააპელაციო სასამართლომ. სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე ნათია გუჯაბიძემ და მოსამართლეებმა – ნატალია ნაზღაძემ და ქეთევან მესხიშვილმა.

* * *

ყველაფერი დაიწყო ასე:

2007 წლის 13 ივლისს დაფუძნდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „არენა სითი“, რომელსაც გელოვანის გამზირზე ავეჯის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი უნდა აეშენებინა. გამგეობის დამფუძნებლები იყვნენ ლავრენტი ჯანიაშვილი, თამაზ დაუშვილი, დავით და აკაკი ენუქიძეები. ამ უკანასკნელთა მოვალეობა იყო თანხების მოძიება, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა. თამაზ დაუშვილმა და მისმა მეუღლემ ელეონორა დიმიტრიევამ კი ამ საქმეში ჩადეს მათ მფლობელობაში არსებული 1763 კვმ.მ. მიწის ნაკვეთი. სანაცვლოდ კი უნდა მიეღოთ აშენებული კორპუსის წილის 33 პროცენტი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ენუქიძე, რომელიც აკაკი ენუქიძესთან ერთად აწარმოებდა საქმეს. კორპუსი 2 წლის შემდეგ ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო.

დაიწყო მუშაობა. დაანგრიეს იქ განთავსებული ძველი შენობები. ამოჭრეს მიწა ე. წ. კატლავანი და ამის შემდეგ არაფერი გაკეთებულა. თვეები გადიოდა, საქმეს წინსვლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. თავად ენუქიძეები კი გაქრნენ. თამაზ დაუშვილი ჰყვება: **„დრო დავხარჯეთ ენუქიძეების ძებნაში, რადგან ისინი გაუჩინარდნენ და კონტაქტი ჩვენ შორის გაწყდა. ბოლოს, როგორღაც ხელში ჩავიგდე დავით ენუქიძე. შევკრიბე გამგეობის სხვა წევრები და უმრავლესობის გადაწყვეტილებით ამხანაგობიდან გავრიცხეთ. ხოლო „არენა სითი“ გაუქმდა. მიწა დაუბრუნდა ჩემს მეუღლეს.**

გადის 9 თვე და მიბარებენ პროკურატურაში, სადაც გავიგე, რომ ენუქიძეები დაუპატიმრებიათ ფულის გამოძალვისა და თაღლითობის გამო“.

აღმოჩნდა, რომ ენუქიძეები „არენა სითის“ სახელით მოქმედებდნენ, აწევრებდნენ ამხანაგობაში ხალხს, რომელთაც ასაშენებელი კორპუსისთვის ფართების მიღების სანაცვლოდ თანხებს ართმევდნენ. ეს შენატანები კი ხვდებოდა არა ამხანაგობის საბანკო ანგარიშზე, არამედ მათ ჯიბეში. საქმე აღიძრა სისხლის სამართლის მუხლით და 2012 წლის მარტში მათ 6-6 წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, ამავე სასამართლოს განჩინებით გაირკვა, რომ თამაზ დაუშვილმა და ლავრენტი ჯანიაშილმა არ იცოდნენ ახალი წევრების შესახებ და მით უმეტეს, მათი შენატანების შესახებ, რადგან არც ერთი თეთრი ამხანაგობის საქმეს არ მოხმარებია.

ამის შემდეგ საქმეები გაგრძელდა საქალაქო სასამართლოში, რადგან გამგეობის იმ წევრებმა, რომლებმაც ფული გადაიხადეს, ამხანაგობას უჩივლეს. ასეთი 4 საქმე აღიძრა. ყველა შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ თანხის გადახდის ვალდებულება დავით და აკაკი ენუქიძეებს დააკისრა.

ყველა გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა, გარდა ერთისა. ამ ამ შემთხვევაში ამხანაგობის 9 წევრი ჩიოდა. თანხის გადახდა საქალაქო სასამართლომ დავით და აკაკი ენუქიძეებს დააკისრა, თუმცა საპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და თანხის გადახდა სოლიდურად დაეკისრა ამხანაგობის ყველა წევრს. მათ შორის აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც ენუქიძეებს თანხის მითვისების გამო უჩიოდნენ და ზოგმა ამ თანხის დაბრუნებაც კი მოახერხა. თუმცა, ყველაზე მეტად დაზარალდა თამაზ დაუშვილი და მისი მეუღლე, რომელთაც ამ საქმეში მიწის ნაკვეთი ჩადეს. მიწა გაუვარგისდა, იქ არსებული ძველი ნაგებობები დაინგრა და მათი ღირებულებაც შესაბამისად განადგურდა. სასამართლო ავალდებულებს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს, მომჩივანებს დაუბრუნონ კუთვნილი თანხა. ამ მიზნით ქონებაც დაუყადაღეს.

ბუნებრივია, მოსამართლეთა სამართლის მიმართ ამ ადამიანებს დიდი კითხვის ნიშნები უჩნდებათ.

* * *

გთავაზობთ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რათა მეტი სიცხადე შევძინოთ ამ საქმეს. მოსამართლე შორენა ჯანხოთელი ადასტურებს, რომ **„ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მიხედვით მოსარჩელეებმა ფული „ამხანაგობაში“ კი არ შეიტანეს, არამედ გადასცეს ამხანაგობის სახელით მოქმედ დავით და აკაკი ენუქიძეებს, არადა თანხის მიღების ვალდებულება და კომპეტენცია მხოლოდ „ამხანაგობას“ ჰქონდა. დავით ენუქიძის და აკაკი ენუქიძის მიერ თანხის მიღება ავტომატურად არ წარმოუშობდა ამხანაგობას ვალდებულებებს, რადგან ენუქიძეებს აღებული თანხა, ამხანაგობისთვის არ გადაუციათ.**

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეები უფლებამოსილნი იყვნენ დავით ენუქიძისგან და აკაკი ენუქიძისგან მოეთხოვათ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება.

ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ **„ვინაიდან დავით ენუქიძე წარმოადგენდა ამხანაგობის თავჯდომარეს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, ამხანაგობის სახელით დაედო გარიგებები მესამე პირთან, ამის გამო ნებისმიერი მესამე პირის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება ეკისრება ამხანაგობა „არენა სითის“.**

სამოქალაქო კოდექსის 937.1 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისთვის პასუხს აგებენ სოლიდურად“.

* * *

ასეა საქმე, ბატონებო! ახლა ჯერი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეზეა.

მაგრამ ჩვენ დილეტანტის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ დაზარალებული თამაზ დაუშვილი, რომელმაც ამხანაგობის საერთო საქმეში მიწის ნაკვეთი ჩადო, მაგრამ თაღლითური თამაშის წესების გამო წლების შემდეგაც ისევ ცარიელ მიწას დაჰკირკიტებს, სასამართლომ დამნაშავედ გამოაცხადა. თუკი მოსამართლეს კარგად ესმის, რომ ამხანაგობის წევრების შემოტანილი თანხა არა „არენა სითის“ საბანკო ანგარიშზე, არამედ ენუქიძეების პირად სალაროში ხვდებოდა, რატომ ითხოვს ამ თანხის სხვა წევრებისგან ანაზღაურებას?! სასამართლო ვალდებულია, რომ დაზარალებული კიდევ უფრო დააზარალოს?!

თამაზ დაუშვილი კი თავის მხრივ დასძენს: „რის საფასურად მიიღეს ეს გადაწყვეტილება ქალბატონმა მოსამართლეებმა, ამასაც პასუხი მალე გაეცემა“...

და მაინც, ვინ არის დამნაშავე?!

თეა მოსია

◎ ბუნება მგრძანებელია...

„მდინარე ენგურს, შესაძლოა, 10 წლის შემდეგ წყალი აღარ ჰქონდეს“

მწვანეთა მოძრაობის – „დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ, შესაძლოა, 10 წლის შემდეგ ხუდონჰესს ენგურის წყალი აღარ ეყოს.

როგორც For.ge-სთან საუბარში ნინო ჩხობაძე განმარტავს, დიდი ალბათობაა, წყლის ჩამონადენი შემცირდეს, რადგან მიმდინარეობს ინტენსიური დნობა და ის, რომ დღეს ენგურს წყალი აქვს, სულაც არ ნიშნავს, რომ 10 წლის შემდეგ იქ წყალი ისევ იქნება.

„ტემპერატურა აწეულია მთელ მსოფლიოში და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგნოზი მტკნარი წყლის შემცირებაა. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებების პირველი ინდიკატორი მყინვარების დნობაა. ენგური არის მდინარე, რომელიც იკვებება მყინვარებით და თუ მყინვარი დადნა, შესაბამისად, წყალი აღარ გვექნება. ჩვენ ვითხოვთ გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელზეც აცხადებენ, რომ ეს ანგარიში მზად აქვთ. ეს ყველაფერი უნდა იყოს გათვლილი და უნდა იყოს მკაფიოდ კომპენსირებული. პირველ რიგში, გათვლილი უნდა ჰქონდეთ, მტკნარი წყლის რამდენი მარაგია მყინვარზე. რა პერსპექტივა გვაქვს, ანუ რამდენ წელიწადში აღარ გვექნება მყინვარი, რადგან ძალზე ინტენსიური დნობაა დაწყებული. ენგური და ალაზანი საკმაოდ წყალუხვია წელს, ტემპერატურა მაღალია და მიდის სერიოზული დნობა. ორივე მდინარე ძირითადად დამოკიდებულია მყინვარზე. ეს არ არის მდინარეები, რომლებიც იკვებებიან წვიმით, თუმცა, წვიმასაც არ ვყავართ განებივრებული. აქედან გამომდინარე, ყველა ნიშანია იმისა, რომ გლობალური ცვლილებები დაწყებულია“, – აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

მისი თქმით, წყლის ნაკლებობა სერიოზულ პრობლემას უქმნის არა მარტო ხუდონის მომავალ მშენებლობას, არამედ ენგურს. კერძოდ, თუ ხუდონი უნდა აშენდეს თაღოვანი კაშხლით, მაშინ რისკები გაზრდილია, ხოლო, თუ ხუდონი არ იქნება თაღოვანი და იქნება სხვა ტიპის (ანუ იქნება სხვა ჰიდრო ელექტროსადგური, ცოტა უფრო ზემოთ და იქნება ნაყარით გაკეთებული), მაშინ ის პრობლემა, რომელიც გვაქვს ენგურთან მიმართებით, მოიხსნება. თუ წყალი არ იქნება ენგურში, მაშინ მდინარის

ზედა ნაწილში უნდა იყოს რაღაც დაგუბება, ექსტრემალური სიტუაციის დროს წყლით უნდა შეივსოს ენგური, ჯვრის კაშხალი, რომ არ მოხდეს ტრაგედია.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ნინო ჩხობაძე ასკვნის, რომ არ შეიძლება ჩვენს რეგიონში ორი დიდი საფრთხე არსებობდეს. ერთი საფრთხეა ენგური, ანუ ჯვრის კაშხალი და მეორე საფრთხე – ხუდონი, რადგან ერთია თაღოვანი კაშხლით და მეორის აშენებასაც ისევ თაღოვანი კაშხლით აპირებენ. ამდენად, ორი დიდი მონსტრის არსებობა ამ ხეობას და, ზოგადად, დასავლეთ საქართველოს დიდ საფრთხეს შეუქმნის.

„ჩვენმა ენერგეტიკოსებმა იციან და ხმას არ იღებენ, რომ ჩვენი მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი სულ ბოლოს 70-80-იან წლებში შეფასდა, მას შემდეგ შეფასება არ მომხდარა. ეს გასაკეთებელია. როგორც ვიცი, ამზადებენ კიდეც საფუძველს, რომ თავიდან შეფასდეს ქვეყნის ენერგეტიკული პროცესები“, – აცხადებს ნინო ჩხობაძე.

ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი რევაზ არველაძე for.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ იქნება თუ არა ხუდონჰესისთვის წყალი 10 წლის შემდეგ, საამისო პროგნოზის გაკეთება ძალზე დიდ მეცნიერებსაც არ შეუძლიათ. თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„მსოფლიოში არსებობს საკმაოდ ბევრი მეცნიერი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალური დათბობის პროგნოზებს და ამბობენ, რომ გლობალური დათბობა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, სულაც არაა ადამიანის ტექნოლოგიური ქმედებით გამოწვეული, არამედ ეს არის ციკლები, რომლებიც დედამიწას პერიოდულად ემართება. მაგალითად, ცნობილია, რომ რამდენიმე საუკუნის წინაც იყო ბევრად მეტი დათბობა, მაგრამ მაშინ არავითარი ტექნოგენური გავლენა მოსახლეობას გარემოზე არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, 10 წლის შემდეგ ნაკლები იქნება თუ მეტი ჰიდროლოგია, ანუ წყლის ჩამონადენი მდინარეში, ვარაუდის დონეზეა. თუ დადასტურდება, რომ წყალი არ იქნება ენგურში, მაშინ, რა თქმა უნდა, არავითარი აზრი არ აქვს მშენებლობას არც ენგურზე, არც რომელიმე სხვა მდინარეზე. აქ არის სიმართლე, ამიტომ მონიტორინგი და დაკვირვება ჰიდროლოგიაზე მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. ადრე თითქმის ყველა მდინარეზე მუდმივად იყო სპეციალური პოსტები დაყენებული, რომლებიც დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს. ენერგეტიკის აკადემიამ ეს საკითხი წამოჭრა სამინისტროს წინაშე, რომ აუცილებელია ჰიდროლოგიის დაზუსტება“, – აცხადებს რევაზ არველაძე.

ამასთან, განმარტავს, რომ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ გლობალური დათბობის პრობლემა მხოლოდ ენგურის და საქართველოს მდინარეების პრობლემაა, შემცდარია. დღეს მსოფლიოს დიდ მდინარეებზე, როგორიცაა იანძი, ხუანხე, კონგო, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს. პრაქტიკულად, ყველა დიდი წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურები შენდება და იქაური მოსახლეობა ამას ბრმად არ აკეთებს, ისინი ანგარიშობენ, ათი წლის მერე იქნება თუ არა წყალი.

მანანა ნოზაძე

ქართული განა მარტო ენაა!

ქართული ენის შესახებ კანონის დარღვევისთვის სანქციები დაწესდება. სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით მეცნიერების მიერ შეთავაზებულ პროექტზე პარლამენტში უკვე იმსჯელეს. პროექტი აკადემიკოსებმა — თამაზ გამყრელიძემ, ჯონი ხეცურიანმა, მზექალა შანიძემ და გუჩა კვარაცხელიამ, ასევე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ავთანდილ არაბულმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან ღვინჯილიამ მოამზადა.

კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი სრულფასოვანი უნდა იყოს და არ უნდა შეიზღუდოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე, — საზღვარგარეთაც, სადაც მას აქვს გამოყენების ასპარეზი.

— ქართული ენის კანონის დარღვევისთვის ჯარიმები როგორ განისაზღვრება?

— სახელმწიფოებრიობის კრიზისი იმითაც გამოიხატება, რომ სახელმწიფო საკუთარ ენას ვერ უვლის. მოგეხსენებათ, არსებობს რეგიონები და არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან მოწყვეტილი რეგიონები, არამედ ისეთი რეგიონებიც, სადაც 90-იანი წლების შემდეგ ძნელბედობის გამო, მთელი თაობები გაიზარდა, რომელთაც არ იციან სახელმწიფო ენა. ჩვენს მოქალაქეებს არ შეუძლიათ კომუნიკაცია სახელმწიფო დაწესებულებებთან. ამაზე უფრო მეტი დარღვევა რა შეიძლება იყოს?! სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარ მოქალაქეს შეუქმნას პირობები, რომ მას ჰქონდეს ყველა სახელმწიფო ინსტიტუციასთან წვდომა, მათ შორის, სახელმწიფო ენის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ახლანდელი ხელისუფლება მოწადინებულია, ეს საკითხი გადაწყვიტოს და ეს კანონი ამის განმსაზღვრელია. გასული წლის სექტემბრისთვის შეცდომით აგორდა ტალღა და ჟურნალისტებს უთხრეს, თქვენს დაჯარიმებას აპირებენ ლიტერატურული ენის ნორმების დარღვევის გამოო. მათაც დაიჯერეს და დაიწყო მთელი ამბავი, დავდიოდით და ვეუბნებოდით, რომ ეს შეუძლებელია, ეს ასე არ არის, აქ საუბარია მატერიალურად ფიქსირებულ ქართული ენის გამოყენების ფაქტებზე. ეს არის სავაჭრო ნიშნები, სარეკლამო, აბრები და ფირნიშები, რასაც ჩვენ ვხედავთ ტრასებზე თუ თბილისში.

ამ თვალსაზრისით, არსებობდა კიდეც საჯარიმო სანქციები. კერძოდ, რეკლამის კანონში თუ ჩაიხედავთ, იქ არის საჯარიმო სანქციები სახელმწიფო ენის გამოუყენებლობისთვის. უბრალოდ, ამას არავინ იყენებდა. წარწერა იქნება, ფირნიში თუ რეკლამა, სახელმწიფო ენის დამახინჯების გამო, პირველ ეტაპზე, მათ გაფრთხილება მიეცემათ. ვეტყვით, კონკრეტულად რა დარღვევა აქვთ და რა უნდა გამოსწორდეს. რა თქმა უნდა, ვადები იქნება დათქმული და თუ ამას არ გაასწორებენ, შემდეგ ამოქმედდება საჯარიმო სანქციები.

პირველ ჯერზე, ეს არის 200-300, მაქსიმუმ 500 ლარამდე ჯარიმა. თუ ამასაც არ გაითვალისწინებენ, შემდეგ იზრდება ათას ლარამდე და ფირნიშის დემონტაჟიც შეიძლება მოხდეს. გაფრთხილების ვადა რაციონალური იქნება. ამას დეპარტამენტი უხელმძღვანელებს. თუ დაწესებულებას პატარა ფირნიში აქვს მიკრული და მის შეცვლას 2 დღე სჭირდება, მას მიეცემა ერთი კვირა, ან უფრო მეტი.

— ჯერ კიდევ შარშან, ქართული ენის სიწმინდის დაცვის ტალღა რომ აგორდა, მთელ თბილისში აქტუალური იყო ინგლისურენოვანი წარწერები. რამდენად შეიცვალეს სასტუმროს ან სხვა დაწესებულებების მეპატრონეებმა გარე წარწერების მხრივ მიდგომა?

— ეს პროცესი პოზიტიური გზით ჯერჯერობით არ განვითარებულა. შეიძლება, შარშანდელმა აჟიოტაჟმა ვიღაც შეაფერხა და ახალ დაწესებულებაზე წარწერა მარტო ინგლისურად ან მარტო თურქულად აღარ გააკეთეს, მაგრამ პროცესი წინ არ წასულა. სხვათა შორის, ბევრგან თურქული წარწერებია. როგორც კი კანონი ამოქმედდება, თქვენ თვითონვე იქნებით მომსწრე, რომ არც გაფრთხილება და არც ჯარიმა აღარ დასჭირდებათ, თვითონვე გამოასწორებენ.

თბილისიდან ბათუმამდე 2 ათასი თურქულენოვანი წარწერაა გამოკრული

— ეს მართლაც აშკარაა, პლეხანოვზე რომ ჩაივლით, გგონიათ, თურქულ უბანში ხართ. თურქეთში ალბათ, არავინ დაუშვებს პრეცედენტს, რომ ქართული წარწერით ააჭრელონ იქაურობა.

— ამას არც ერთ ქვეყანაში არ დაუშვებენ. ჯერ ერთი, ევროპის ქვეყნებში ერთენოვანი წარწერებია, ჩვეულებრივ ესაა სახელმწიფოენოვანი წარწერები.

— საქართველოში ერთენოვანი წარწერა დაუშვებელია? წარწერები, მაინცდამაინც ბილინგური უნდა იყოს?

— საქართველოში დაშვებულია, რომ აუცილებლად სახელმწიფოენოვანი წარწერა უნდა იყოს და, ასევე, — მეორეენოვანიც. ჩვეულებრივ, ეს წარწერები პრაქტიკული დანიშნულებისაა, რადგან ჩვენი ქვეყანა გზაჯვარედინზეა. გააჩნია დაწესებულებას, მაგალითად, აფთიაქს არ სჭირდება ორენოვანი წარწერა, რადგან აფთიაქს ისეთი სიმბოლო ახატია, ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა იცის. ამიტომ, ამას ქართულიც ეყოფა. ამიტომ გააჩნია დაწესებულებას. რაც ჩვენთან ხდება, ამას სახელმწიფო არ ჰქვია. ეს წარწერები დათვლილია და თბილისიდან ბათუმამდე ტრასაზე, გზებზე 2 ათასი თუ 2 ათასზე მეტი მხოლოდ თურქულენოვანი წარწერაა გამოკრული. აბა, ასეთი რამ შეიძლება? თურქეთში ამას დაუშვებენ? თურქეთში ვყოფილვართ და ეს კარგად აქვთ მოგვარებული.

ევროპული ქვეყნები ლათინურენოვანი შრიფტით სარგებლობენ. გერმანულად რამე რომ ეწეროს, ფრანგი, ინგლისელი მაინც კითხულობს. რადგან ჩვენ ანბანი განსხვავებული გვაქვს, ეს პრობლემა არსებობს, რომ ჩვენს წარწერებს საერთოდ ვერავინ წაიკითხავს. ამიტომ, მეორე საერთაშორისო ენა უნდა იყოს იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც ყველა იყენებს.

— ზოგჯერ მესამე ენაც რომ გვხვდება, ანუ სამენოვანი წარწერა?

— სამენოვანი წარწერა იქნება მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური ენა არის სახელმწიფო ენა. აფხაზური ენა იქნება ქართულთან ერთად და კიდევ ერთი საერთაშორისო ენის გამოყენება შეიძლება.

— რა რეაქცია გაქვთ პარლამენტარებთან დაკავშირებით, როცა ისმენთ მათ მიერ დაბინძურებულ ქართულს? ზოგადად, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები როგორ მეტყველებენ?

— ცუდად. თუმცა, ასეა განვითარებული მასმედიის საშუალებები და მთელი ქვეყანა შეჰყურებს მათ, ამიტომ მთელი შრომა სპეციალისტებს წყალში გვეყრება. ათასიანი, მილიონიანი აუდიტორია ჰყავთ პარლამენტარებს. სხვათა შორის, ყველაზე ლოიალური მე ვარ ჟურნალისტების მიმართ, რადგან ვიცი, როგორ ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ მათ ინფორმაციების გადამუშავება. ისეთ რამეს ასწრებენ, რაც სასწაულებრივია, მაგრამ ჟურნალისტის პასუხისმგებლობა იმით იზრდება, რომ ამხელა აუდიტორიის გამო მისი ერთი შეცდომა, როგორც წვეთი კუპრი, კასრ თაფლს აფუჭებს. ჟურნალისტებთან დაკავშირებით ყოველთვიურად გვექნება ანგარიშები დიდი საინფორმაციო საშუალებების წინაშე, თუ რა შეცდომებს უშვებენ და როგორ უნდა გამოასწორონ.

— პარლამენტარების სამეტყველო ქართული როგორ გაუმჯობესდება? თუ ჩაუტარდებათ სპეციალური კურსები?

— კარგი პრეცედენტია, რომ საპატრიარქოს ტელევიზიაში არის ყოველკვირეული გადაცემა, რასაც თამარ ვაშაკიძე, ჩვენი მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე უძღვება. პოპულარული გახდა ეს გადაცემა. მოსწყურდა ხალხს კარგი ქართული. ენას უნდა ვუპატრონოთ. ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივი ამბიციის გამოვლინება. სხვათა შორის, ეს ინიციატივა იყო წინა პარლამენტში. მაშინ თამაზ კვაჭანტირაძემ წამოიწყო, რომ რაღაც კურსებივით ყოფილიყო პარლამენტარებისთვის, მაგრამ არ განხორციელებულა. ახლა პირდაპირ კანონში პროგრამები გვაქვს. ასე რომ, პროგრამები გაკეთდება არაქართული რეგიონებისთვის, მასმედიისთვის, პარლამენტარებისთვის. ახლა სხვა უბედურება გვჭირს, რუსულენოვანმა უკან დაიწია და, სამაგიეროდ, იხუვლა ტერმინების გაუკონტროლებელმა მასამ. მარტო კომპიუტერული ტერმინოლოგია რომ ავიღოთ, რუსულ-ინგლისური ტერმინებია და ვერ მოვასწარით, რომ ქართულით ჩავანაცვლოთ.

— სხვათა შორის, ინგილოები და ფერეიდნელები ამბობენ, რომ მათ განსაკუთრებულად შეინარჩუნეს მე-17 საუკუნის, სულხან-საბას დროინდელი ენა და გაცილებით არქაული ქართულით მეტყველებენ ჩაკეტილი სივრცის გამო. სამშობლოში დარჩენილი ქართველები კი შემდგომში დაუკავშირდნენ რუსებს, შემოვიდა ბარბარიზმები. 200-წლოვანი რუსული ანექსიის შემდეგ რამდენად დავკარგეთ ჩვენი ენის სიწმინდე? თუ უკავშირებთ ამ ყველაფერს ისტორიის პერიპეტიებს?

— ამ კითხვას ვრცელი მიმოხილვა სჭირდება. ისტორია მწვავედ შეეხო ინგილოებსაც, ფერეიდნელებსაც, მათ შეინარჩუნეს ქართული, მაგრამ მათმა მეტყველებამ სხვა გავლენა განიცადა — სპარსულის, თურქულის, აზერბაიჯანულის. სალიტერატურო ენა ყველაზე მეტად ინარჩუნებს სიწმინდეს. ამიტომ ის ენა, რომელიც ემსახურება თანამედროვე საქართველოს, მაინც ყველაზე უფრო დახვეწილია ყველა ენასთან შედარებით, მათ შორის, კუთხურ ენასთან შედარებითაც. ლექსიკის შედგენილობის თვალსაზრისით, შეიძლება მეტად იყოს შერეული არაქართულენოვანი ტერმინოლოგიით, მაგრამ მეტყველების სიწმინდის თვალსაზრისით, უფრო დახვეწილი და დამუშავებულია. ფერეიდნელები და იმერხეველებიც ამბობენ, რომ ადრე გვესმოდა, რას ლაპარაკობენ ქართველი დიქტორები, ახლა არ გვესმის, ტემპი დაჩქარდა და ჭირს, ახლანდელი ჟურნალისტების მეტყველების გაყოლა.

მარიამ ლოლაშვილი

◎ კაკალ გულში

„რაის აქილევსი, ახლა კოდუას ქუსლია მოდაში“...

წერტილოვანი ფრაზები

● ხაინდრავამ „რუსთავი-2“-ს რომ არ მისცა ინტერვიუ, ძალიან მაგარი რამ გააკეთა. ამ ანტისახელმწიფოებრივ ტელევიზიაში არავინ არ უნდა მივიდეს. არც ერთი ნორმალური ადამიანი და არც ერთმა ბიზნესმენმა არ უნდა მიიტანოს რეკლამა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება საზოგადოების მხრიდან უნდა აღიქვას, როგორც სახელმწიფოს მტრებთან თანამშრომლობა.

ეს შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც რომელიმე დასავლეთელი მოღვაწის მიერ პროფაშისტურ, ან სკინხედურ მედიასაშუალებასთან ურთიერთობა!

● ამ მაესტროს იქნებ გააგებინოს ვინმემ, რომ როცა შენი მეზობლები ომობენ და შენ გადმოსცემ ინფორმაციას — „დაღუპულია 3 აზერბაიჯანელი მებრძოლი და 40 სომეხი დივერსანტი“, უკვე მხარედ იჩითები — პრაგმატულ მოსაზრებებს რომ თავი დაანებო, ელემენტარულად „ტეხავს“ ეგეთი ბაზარი.

● ახლა თუ ამათ თქვეს, პატიმრობა ხომ შევუფარდეთ, მეტი რაღა გინდათო, აი მაშინ რა ვქნათ?

● გასაგებია, რომ ამ იდოტებს აგატა კრისტი არ წაუკითხავთ, ლევ შეინინი საერთოდ არ გაუგიათ, მარა მაია ბურჭულაძის ერთი ცალი დეტექტივი ქუჩაში ნანახი მაინც ხო უნდა ჰქონდეთ?

რა გულაპკა, რის რკინის ქუსლები. რა კილერული ზაკაზები. სხვა რამე, უფრო საინტერესო მოიფიქრეთ, თორე სხვა არხზე გადავრთავ!

● ბოლო ინტერვიუა, ისტორიული — დალშე უკვე წერილები იქნება....

● 70-იანებში რო დაბადებულიყო კოდუა, ბაბინების დროს — რამხელა ქუსლებზე იდგებოდა, წარმოიდგინე....

● რაის აქილევსი, ახლა კოდუას ქუსლია მოდაში.

● მოკლედ დავწერ, აზრი თქვენ გამოიტანეთ: ქალაქის მერის ახალდანიშნული მოადგილე, ვინმე ალექსანდრე მარგიშვილი..ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ საყდრისი უნდა დაინგრეს....

● ქდმ - კარგი მენეჯერების სამჭედლოა?

● როგორც ვინმე ბილდტი არ უნდა ეჩრებოდეს ჩვენს საშინაო საქმეებში, ასევე ჩვენი პირველი დიპლომატი არ უნდა ასწავლიდეს ჭკუას მეზობელ ქვეყნებს.

გააჩუმეთ და დამალეთ ეს ქალბატონი, სირცხვილია!

● ამ ხალხს ბრალდებას პოსლეზე უყენებენ თუ ნისიად, პატიმარი სადაა?

● ნაცების ფონზე კარგები რომ ჩანხართ, როდემდე გასტანს თქვენი აზრით! ნეპოტიზმი დაგღუპავთ თქვენ!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სასამართლომ სააკაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა აირჩია

საქართველოს ექსპრეზიდენტმა დევნა პოლიტიკურად მოტივირებულად დაასახელა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით აირჩია წინასწარი პატიმრობა. გადაწყვეტილება გამოიტანეს 2 აგვისტოს ღამით სასამართლოს სხდომის შემდეგ, რომელიც სამსაათნახევარი გრძელდებოდა.

სისხლის სამართლის საქმე წარმოებს 2007 წლის 7 ნოემბერს ანტისამთავრობო დემონსტრაციის დარბევასთან, აგრეთვე ტელეკომპანია „იმედში“ „შეჭრასთან“ დაკავშირებით, რომელიც სააკაშვილის მთავრობის ოპოზიციური არხი იყო.

ექსპრეზიდენტს ბრალი ედება არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის არხის დანაშაულებრივი გზით ხელში ჩაგდებაში. მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება უფლებამოსილებათა გადაჭარბებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადების თანახმად, წაყენებული ბრალდების შესაბამისად ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 5-დან 8 წლამდე.

შეგახსენებთ, რომ ექსპრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა შარშან ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. მიხეილ სააკაშვილი ამჟამად ასწავლის ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართალდაცვის სკოლაში ტაფტსის უნივერსიტეტში — ესაა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სასწავლო ცენტრი საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში.

„რუსეთის დაკვეთით“

მიხეილ სააკაშვილი არაერთგზის აცხადებდა, რომ აპირებს ჩავიდეს საქართველოში და მონაწილეობა მიიღოს „ივანიშვილი-პუტინის თამაშში“. მისი სიტყვებით, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება მოქმედებს რუსეთის ფედერაციის დაკვეთით, რომელიც დიდი ხანია იღვწის მისი დაპატიმრებისთვის და რისი წახალისების სტიმულიც გახდა უკრაინის კრიზისი, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი აქტიურად გამოდიოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უკრაინის ევროპული არჩევანის დასაცავად და ყირიმის რუსული ანექსიის წინააღმდეგ. სააკაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ შარშან შემოდგომაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა გააფრთხილეს იგი, რომ პუტინმა „გასცა პირდაპირი ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ“.

სააკაშვილის სიტყვებით, სწორედ იმის შეგნებამ, რომ მისი დაპატიმრება ნეგატიურად აისახება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებაზე, აიძულა კიდეც იგი, დაეტოვებინა საქართველო. 1 აგვისტოს საღამოს ქართულ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კომენტარებში მან გაიმეორა თავისი ბრალდება შარშან ნოემბერში გადამდგარი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის, მილიარდერისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელის მისამართით. კოალიციამ გაიმარჯვა სააკაშვილის პარტიაზე 2012 წლის პარლამენტის არჩევნების დროს.

„ამ შემთხვევაში, რუსი ოლიგარქის (ივანიშვილის) ინტერესები დაემთხვა რუსეთის ინტერესებს. ივანიშვილი არის „გაზპრომის“ ყველაზე დიდი კერძო აქციონერი და აგვისტოს ომის წლისთავის წინ პუტინს არ შეეძლო, წარმოედგინა უფრო სასურველი წესრიგი, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ბრძანება ჩემი დაპატიმრების შესახებ“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ადრე სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს, მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი, ვინაიდან ყველა ქვეყანაში, გარდა რუსეთისა და საქართველოსი, მას „ღებულობენ დიდი კმაყოფილებით“.

„რისთვის მჭირდება პოლიტიკური თავშესაფარი? თქვენ ხომ ხედავთ, რომ ყველა ქალაქში მე დიდი კმაყოფილებით მღებულობენ. ამერიკაში მღებულობენ ძალიან კარგად, და თქვენ დაინახეთ რეაქცია ამერიკაში. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მე კარგად მღებულობენ... არ მესმის მათი (საქართველოს ხელისუფლების) მთავარი გადაწყვეტილება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შემიზღუდონ გადაადგილება... მათ აღიზიანებს უკრაინის მისამართით ჩემი აქტიური მხარდაჭერა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 30 ივლისს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, ისევე როგორც მთელმა რიგმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა, გამოთქვა შეშფოთება საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრის გამო. სახელმწიფო დეპარტამენტის 29 ივლისის განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული „რომ სასამართლო სისტემა არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად“. მსგავსი განცხადება გააკეთა ევროკავშირმაც.

ამავე დროს, თავად მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მისი პრობლემები საქართველოში „დროებითია“.

„პუტინი მთელი ამ დროის განმავლობაში მოითხოვს მომკლან ან დამაპატიმრონ, მაგრამ თავად მას საქმეები კარგად არ მისდის. და მათ, ვინც ბრძანება გასცა, დრო გაასამართლებს... მე ვთქვი და ვიმეორებ ახლა — მე მართლაც არ მაქვს განზრახული, გამოვცხადდე „გაზპრომის“ მიერ კონტროლირებადი აქციონერის გამოძახებით, მაგრამ ვიქნები ძალიან ახლოს, როდესაც მიმიხმობს ქართველი ხალხი“, — თქვა სააკაშვილმა 1 აგვისტოს.

„საეჭვო პრიორიტეტები“

მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პროკურატურის მოქმედებას აფასებს, როგორც „პოლიტიკურ დევნას“, რომელიც, ოპოზიციონერების სიტყვებით, „მიგვიყვანს საზოგადოების პოლარიზაციასთან და გალხეჩასთან“ და საქართველოს გათიშვასთან „ცივილიზებული სამყაროსგან“. უფრო მეტიც, მიაჩნიათ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში , ამით საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯი, რის წინააღმდეგაც იგი გააფრთხილა „ყველა სტრატეგიულლმა მოკავშირემ, უწინარეს ყოვლისა — შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა“.

„სამწუხაროდ, ეს ყოველივე კეთდება მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, როდესაც უკრაინის მოვლენებთან და ბოინგის დაღუპვასთან დაკავშირებით გაჩნდა წყალგამყოფი, რომლის ცალ მხარეს იმყოფება მთელი ცივილიზებული სამყარო, მეორეზე კი — რუსეთი. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ამ კრიტიკულ დროს ეს ნაბიჯი (საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ) დაგვაახლოებს ჩვენ რუსეთთან და დაგვაშორებს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი აღმოჩნდა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების დევნა“, — განაცხადა 2 აგვისტოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ.

ხელისუფლების შეფასებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის კომენტარებში სააკაშვილისათვის წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გამოძიების პროცესი „აბსოლუტურად ღიაა“ და რომ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის „ყველა ჩვენ პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოს“ ექნება შესაძლებლობა, „მთლიანად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააანალიზოს ამ მნიშვნელოვან საქმეში წარმოდგენილი დადასტურებანი“.

„რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე და ობიექტური“, — განაცხადა ღარიბაშვილმა 31 ივლისს.

ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თავის კომენტარებში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი, როგორც პრეზიდენტი, იქნება კანონის უზენაესობის გარანტი, და დაგვპირდა, რომ „ყურადღებით გაადევნებს თვალ-ყურს“ პროცესს. „კანონის უმაღლესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი საქართველოში ქართველი ხალხია და საქართველოს პრეზიდენტი. ჩვენ ყურადღებით გავადევნებთ თვალყურს ამ პროცესს და დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას ორი პრიორიტეტიდან გამომდინარე: კანონის უზენაესობა, ერთი მხრივ, და ადამიანის უფლებათა დაცვა — მეორე მხრივ“, — თქვა მარგველაშვილმა 1 აგვისტოს.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ობამამ განაცხადა, რომ არ არის გაწბილებული რუსეთის ურთიერთობით „ორსახა იანუსთან“, და შეაფასა პუტინის მოქმედებები

ბარაკ ობამას აზრით, პუტინის მოქმედებები, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოში ძლიერი დაძაბულობის ფაქტორს, შეიძლება სახიფათო იყოს რუსეთისთვის ხანგრძლივ პერსპექტივაში, მაგრამ ხანმოკლე პერსპექტივაში რუსეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს პოპულარული პოლიტიკოსი ქვეყნის შიგნით და რომელსაც შეუძლია სერიოზული შეშფოთება გამოიწვიოს საზღვარგარეთ.

კიევში ამზადებენ ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვას რუსეთის კულტურის 500 მოღვაწისათვის

სიის მომზადების შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მრჩეველმა ანტონ გერაშჩენკომ განაცხადა ევრომაიდნელების მცდელობასთან დაკავშირებით, ჩაშალონ უკრაინელი მომღერლის ანი ლორაკის კონცერტი. შეტაკებაში დაზარალდა რამდენიმე ადამიანი. როდესაც ინციდენტს უკეთებდა კომენტარს, გერაშჩენკომ აღნიშნა, რომ არ იწონებს ანი ლორაკისა და კულტურის სხვა მოღვაწეთა მოქმედებებს რუსეთთან დაკავშირებით.

უკრაინის არმია ახლოა გამარჯვებასთან სეპარატისტებზე, ამტკიცებს თავდაცვის მინისტრი

ამავე დროს, მიუხედავად სერიოზული დანაკარგებისა სეპარატისტების ძალებს შორის, მათი ოდენობა ძველებურად შეადგენს დაახლოებით 15 ათას კაცს, აღნიშნა ვალერი გელეტეიმ და დაუმატა, რომ ახალი ძალები განმტკიცებისათვის შემოდის რეგულარულ საფუძველზე.

ბანგლადეშში გადაბრუნდა ბორანი, რომელზეც დაახლოებით 250 მგზავრი მიცურავდა: გადაარჩინეს 50 კაცი

ბორანი „პინაკი-6“ ორშაბათს დილით გადაბრუნდა მდინარე პადმაზე მუნშიგანის რაიონში, ქვეყნის დედაქალაქ დაკიდან დაახლოებით 30 კილომეტრის დაშორებით სამხრეთ დასავლეთში. დაღუპულების შესახებ ჯერჯერობით არ იტყობინებიან. მაშველ ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობენ საწყლოსნო ტრანსპორტის სამმართველოს თანამშრომლები და არმია. პოლიციის მონაცემებით, ბორანზე უფრო მეტი ხალხი იყო, ვიდრე მას შეეძლო გადაეყვანა.

ძვირფასი სილუეტები



ჩვენი არსენა, ჩვენი მინდია

სულ რამდენიმე წუთით გამოჩნდა რომელიღაც ტელეარხზე ლეგენდარული სპარტაკ ბაღაშვილი, ხევისბერის მონოლოგს კითხულობდა კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“. ჰოდა, ვიფიქრე, ხომ არ გაგვეხსენებინა იგი „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისთვის, მეტადრე, ჩვენი ახალგაზრდობისთვის, რომელმაც (თეატრალური უნივერსიტეტის ზოგ-ზოგი სტუდენტის გარდა), პირდაპირ შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი იცის (არც აინტერესებს, „კაზანტიპზეა“ გადართული) სპარტაკ ბაღაშვილის და, საერთოდ, ჩვენი ბუმბერაზი მეოცესაუკუნელი ხელოვანების შესახებ, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ქართული თეატრი თუ კინო.

მაშ, გავიხსენოთ ჩვენი არსენა, ჩვენი მინდია, რომელსაც, 1967 წელს, ახალფეხადგმული ჟურნალისტი, თავის სახლში შევხვდი.

და აი, 47 წლის წინანდელი დიალოგი სპარტაკ ბაღაშვილთან:

— მარიამ, ხილი გამოგვიტანე გენაცვალე! — მეორე ოთახში მოფუსფუსე მანდილოსანს გაეხმაურა ჩემი მასპინძელი. — დიახ, „ლონდრე“ ფილმი-ზღაპარია, მაგრამ მასში დასმული პრობლემები სადღეისოა და უაღრესად საჭირო.

— თქვენ ამ სურათში ეპიზოდური როლი გაქვთ, არა, ბატონო სპარტაკ?

— დიახ, გენაცვალე, მეკუბოვეს ვასახიერებ, მე მგონი, საინტერესო უნდა იყოს. ხილი მიირთვი გენაცვალე...

— შემდეგ „ცისკრის ზარებში“...

— კი, ამ სურათზე ჯერჯერობით მუშაობა არ დაგვიმთავრებია. მე სვანი მოხუცის ჯანყვათის როლი მაქვს მონდობილი.

— თეიმურაზ მაღლაფერიძის ამ შესანიშნავ მოთხრობას „უშბა“ ერქვა, სათაურის შეცვლამ სცენარიც ხომ არ შეცვალა?

— თითქმის არ შეცვლილა, მხოლოდ ის იყო, რომ ნატურგადაღებები სვანეთის მაგივრად ყაზბეგში წარმოებდა.

— ყაზბეგთან, რა თქმა უნდა, ბევრი მოგონება გაკავშირებით.

— კი, გენაცვალე, ჩემი ხევისბერი, ეტყობა, იქ ძალიან უყვართ.

— თქვენი როლები არა მარტო იქ უყვართ...

— შეიძლება. სხვათაშორის, ახლახან ინდონეზიიდან მივიღე ჯაკარტელი პროფესორის წერილი. იგი მწერს: „ბატონო საბჭოთა მსახიობო, მე თქვენი მოტრფიალე ვარ, თითქმის ყველა ფილმი მაქვს ნანახი, რომლებშიც თქვენ მონაწილეობთ. გთხოვთ, გამომიგზავნოთ თქვენი ფოტოსურათები“.

— ნატურგადაღებები ყაზბეგში დამთავრდა?

— კი. იქ კარგა ხანი ვიყავით. ბევრგან შეხვედრა მომიწყვეს მოხევეებმა. ორჯონიკიძელებმა ყაბალახიც კი მისახსოვრეს.

— ბატონო სპარტაკ, ეს წვერი, ალბათ...

— ჰო, გენაცვალე, წვერი თენგიზ აბულაძის ფილმში მჭირდება.

— დამეთანხმებით, მას ძალზე რთული და საინტერესო სამუშაო აქვს.

— უაღრესად. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ეკრანზე გადატანა ზედმიწევნით პასუხსაგები და, შეიძლება ითქვას, საშიშიც არის, მაგრამ მე მჯერა აბულაძისა. მას საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი მთელი სურათი.

— შევიტყვეთ, რომ მასში ვაჟას სამი ნაწარმოები იქნება გაერთიანებული.

— დიახ, გენაცვალე, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“...

— „გველის მჭამელი“ ერქმევაო, თქვეს...

— კი, ჯერჯერობით ასეა.

— თქვენ ხომ მინდიას თამაშობთ?..

— დიახ, გენაცვალე. ამ როლს მინდა, მოვახმარო, თუ რაიმე შემიძლია. მე ასე წარმომიდგენია: „გველის მჭამელი“ თვით ვაჟას სიბრძნეა, მისი პოეტური ფილოსოფიაა. მინდია მაყურებლის წინამძღოლი და სიკეთის მაუწყებელი უნდა იყოს.

— გადაღებები დაიწყო?

— რამდენიმე დღის შემდეგ მივემგზავრებით დავით გარეჯში და შევუდგებით მუშაობას.

— სხვა გეგმებზეც მითხარით ერთი-ორი სიტყვა?

— რეჟისორ გიორგი შენგელაიას მომავალ ფილმ „ფიროსმანში“ მელოდება ერთ-ერთი როლი. „საიათნოვაში“ ერეკლე მეორე უნდა განვასახიერო. ასე რომ, სამუშაო არის, რომელიც მთელი ენერგიის დაძაბვას მოითხოვს.

— და, მაინც, მე მგონი, თქვენს საყვარელ როლად არსენა დარჩება.

— უეჭველად. არსენა ჩვენი ეროვნული გმირია და შეიძლება ამიტომაც დავთანხმდი მიხეილ ჭიაურელს, თორემ, მსახიობობას არც ვაპირებდი. მაშინ სამთოსატრანსპორტო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი და სულ სხვა ოცნებები და მისწრაფებები მქონდა, მაგრამ მამაჩემმა, რეჟისორმა და მსახიობმა ლევან ბაღაშვილმა გამაბედვინა ამ გზას დავდგომოდი. შემდეგ სამსახიობო ფაკულტეტი დავამთავრე და, როგორც ხედავთ, ინჟინრობა უკვე შორს დარჩა. ხილი მიირთვი, გენაცვალე...

— ბატონო სპარტაკ, ის ფილმები, თქვენ რომ ამჟღერად მონაწილეობთ, ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების მიერ იქმნება. საინტერესოა თქვენი აზრი ჩვენს კინემატოგრაფში „ახალი ტალღის“ შესახებ.

— უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდობაა. ზოგი უკვე მსოფლიომ აღიარა. ცნობილია, რომ ყოველმა თაობამ ხელოვნებაში თუ ლიტერატურაში თავისი სიტყვა უნდა თქვას და, თანაც ახლებურად. კინემატოგრაფიის უდიდესმა განვითარებამ ხელი შეუწყო ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების ფაქიზ და დახვეწილ გემოვნებას, მათს აზრსა და თვალთახედვას. და თუ ქართული კინო ერთ-ერთი მოწინავეა კავშირში და უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ ფესტივალებსა და კინოკონკურსებზე, ამაში ახალგაზრდების დიდი წვლილია უდაოდ. აი, თუნდაც რევაზ ჩხეიძის გახმაურებული „ჯარისკაცის მამა“. იგი მთავრობის უმაღლესი ჯილდოთიც აღინიშნა.

— დიდი მადლობა საუბრისთვის, ბატონო სპარტაკ.

— რას ამბობ, გენაცვალე, მშვიდობით იარე.

გულისტკივილი თენგიზ არჩვაძისა

ახლა, მოდით, თენგიზ არჩვაძეს მოვუსმინოთ. ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი და, ჭეშმარიტად, კაცობის ეტალონი, 3 აგვისტოს 82 წლისა გახდა. მრავალჯერ შევხვედრივართ, ჭიქაც აგვიწევია, მაგრამ, ამჯერად, ეს აღარ გამოვიდა, რახან ჩქარობდა, ჩემმა უფროსმა და უზომოდ საამაყო მეგობარმა, „მშრალად“ მომიყვა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი-ორი მომენტი.

მაშ, მოვუსმინოთ ბატონ თენგიზს:

— ჩვენ რაჭველები ვართ. ისე „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო, ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად... მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი, რატომ ჩაჯექი მეპურეებში-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო... გესმის?! შენ არ მეყოლებოდიო! ჰოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ მეყოლებოდნენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი სიცოცხლეები — ანუკა, მარიამი და ირინე?! ჰო... 24-ში მამაჩემის 14 დედმამიშვილი შორაპანში დახვრიტეს, სისხლი ასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... დიდი წვალებით, ბრძოლით, ქიშპით, ღალატით, ათასი დავიდარაბით... მაინც მოვიდა ჩვენი ქვეყანა დღემდე, ის კი არა, მგონი, ევროკავშირშიც შევდივართ, მაგრამ ყველაფერი ქართული, ტრადიციული, მამაპაპური რომ დავივიწყეთ და ევროპაშიც, ამერიკაშიც, აზიაშიც... კარგა ხანია, უკვე შესულია გასაცოდავებული ქართველი ლუკმა პურის საშოვნელად, ამას რა ეშველება?! საერთოდ რა გვეშველება,?! ეს არის ჩემი გულისტკივილი. სააკაშვილმა თავზე დაგვამხო ქვეყანა და ახლა ტელევიზორიდან გველრიჯება!.. არ ვიცი, არ ვიცი... მე დავიღალე, ყოველდღიურობამ დამღალა! 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამიწევია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ... გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... მდაა...

— უამრავი ძვირფასი ადამიანი გააცილეთ, რა თქმა უნდა, ეს დარდის მეტი არაფერია, მაგრამ მაინც მაგრად უნდა იყოთ, თენგიზ ბატონო... გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა ჯანი არ მოგაკლოთ!..

ვილენ მარდალეიშვილი



ალიანჩალიანი

უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა მცხეთაში

არქეოლოგებმა მცხეთის ტერიტორიაზე უნიკალურ მასალებს მიაკვლიეს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, ოქროს საკიდები, ბეჭდები, საკინძები და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII (1025-1028 წწ.) მონეტა მცხეთაში, ფიქრის გორაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს მონეტა ადასტურებს, რომ ფიქრის გორის სამაროვანზე მცხეთის მოსახლეობის დაკრძალვა არა მხოლოდ IV-VI საუკუნეებში, არამედ შუა საუკუნეებშიც ხდებოდა.

კულუტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაიწყო მუშაობა, რომ მოპოვებულ არტეფაქტებს მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს.

ფართო საზოგადოება უახლეს მონაპოვარს შემოდგომაზე თბილისში იხილავს. თვის ბოლომდე გადაწყდება და დადასტურდება თუ რომელ სივრცეში გამოიფინება ახალი მასალები. საბოლოოდ კი აღნიშნული ნივთები ექსპონირებული იქნება მცხეთის ახალ მუზეუმში.

მონასტერს ხანძარი აღარ ემუქრება

ორი დღის წინ შიომღვიმის მონასტრისკენ მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, შიომღვიმის მონასტრისკენ მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის მასივს ხანძარი კვლავ გაუჩნდა, თუმცა, მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ეფექტური მუშაობის შედეგად ხანძარი ლოკალიზებულია.

უწყების ინფორმაციით, მისი ლიკვიდაცია ვერტმფრენის დახმარებით მოხერხდა. ცეცხლი დაახლოებით 5 ჰექტარ ფართობს მოედო. ადგილზე 8 სახანძრო მანქანა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, შსს-ს და თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები იყვნენ მობილიზებული.

მეტყევეები და საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე კვლავ რჩებიან და ფართობს დეტალურად ათვალიერებენ, ხანძრის განმეორების თავიდან აცილების მიზნით.

ინტერპრესი

◎ ჭიდაობა

საქეულის ორი ჯილდო



დაბრუვოში გამართულ ცნობილი პოლონელი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ციოლკოვსკის მემორიალში სამი ქართველი ფალავანი მონაწილეობდა. მათგან ორმა ოქროს მედალი მოიპოვა.

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჯუმბერ ყველაშვილმა იყოჩაღა: სტარტზე პოლონელი ანდრეი სოკალსკი დაამარცხა — 12:2, მერე ვენესუელელი კრისტიან სერკო ჩამოიშორა — 9:1, ნახევარფინალში მასპინძელთა ლიდერ კრისტიან ბრზოზოვსკის მოუგო — 8:3, ფინალში კი ირანელ რეზა აფზალიპაემაიმს აჯობა — 4:3 და პირველი ადგილი დაიკავა. 97 კილოში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე ელიზბარ ოდიკაძემ ზედიზედ სძლია თურქ ფატიჰ იასარლის (7:0), პოლონელ კამილ ვოიციჩოვსკის (10:0), ბელარუსი იუსუპ ჯალილაუს (4:1), გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელი რადოსლავ ბარანი დაჯაბნა (6:1) და ოქროს მედალი მოიპოვა.

ახალგაზრდა ალექსანდრე ჯაჭვაძემ (70) მეოთხედფინალში ბელარუს ანტონ აფანასიევს მოუგო — 4:0, მაგრამ მერე რუსეთელებთან დამარცხდა — ნახევარფინალში სოსლან რამონოვთან — 1:6 წააგო, ბრინჯაოსთვის პაექრობა კი შარაპ გიტინოვთან 5:9 დათმო და უმედლოდ დარჩა.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

საევროპო რეპეტიცია ბერლინში

წლეულს სექტემბერში რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამიტომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გუგავამ ბერლინში ევროპის თასზე საპაექროდ წონაში 2, ზოგან კი 3 და 4 კანდიდატიც კი წაიყვანა, რათა კონტინენტის პირველობაზე მოხვედრის შანსი ყველას ჰქონოდა. მათგან მხოლოდ სამმა მოიპოვა მედალი. მეოთხე ჯილდო კი გოგონებში ელენე ქებაძის ((78) წილად მოდის.

55კილოში ბრინჯაოს მედალი თორნიკე ნაგლიაშვილმა დაიმსახურა. პირველ წრეში ბელგიელ ვლადისლავ ლიმს მოუგო ვაზარით, თუმცა, მერე თურქ ფერდი ალტინთან დამარცხდა სუფთად. დამამშვიდებელში ჩვენებურმა ზედიზედ აჯობა კვიპროსელ იოანის ქსენოფონტოსს, უნგრელ რიხარდ გარდს, ბულგარელ ვალენტინ ალიპიევს და თურქ ოგუზან კარაჩას.

კობა მჭედლიშვილი (73) შარშან ჭაბუკებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გახდა. ბერლინში ჰოლანდიელი მარკ სტამი ორი ვაზარით ჩამოიშორა გზიდან, რუს მაგომედრამაზან გაზაევს მხოლოდ ერთი გაფრთხილებით მოუგო. ბრაზილიელი კაიო ბრიგიდა გაფრთხილებებით მოახსნევინა, უნგრელ დიულა პალს იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში თურქ მურატ ბექთაშსაც გაფრთხილებებით მოუგო, ფინალში კი სამხრეთკორეელ ჰეონჩეოლ კანთან სუფთად დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

81 კილოში ლევან გუგავამ ქვეჯგუფში ოთხი შეხვედრა მოიგო — შვეიცარიელი ფლორიან დრუ და კანადელი ლოის კრიბეტ-გაგნონი იპონით დაამარცხა, რუს რამზან ზურგარაევს იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში ჰოლანდიელი რიკო ჰარდერი ბეჭებით გააკრა ტატამს, ხოლო ფინალი ბრაზილიელ რაფაელ მაკედოსთან გაფრთხილებებით დათმო.

გოგონათა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია თენაძემ ბერლინში 6 მოჭიდავე წაიყვანა. იყოჩაღა ელენე ქებაძემ. პირველ წრეში მან პოლონელ ანა ზალეზნას იუკოთი კი მოუგო, მაგრამ მერე თავად დამარცხდა გერმანელ მიშელე გოჩინთან. სამაგიეროდ, სანუგეშოში ჰოლანდიელ მარელ ბარკმანსა და ბრაზილიელ კამილა მოგუეირას აჯობა იპონით და, როგორც ვთქვით, მესამე ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

წარმატებული სტარტი

ნორვეგიულ ტრომსოში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე 136 ქალთა და 177 ვაჟთა გუნდი მონაწილეობს. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს 11 ტური გამოავლენს. გასულ უქმეებზე ორი ტური გათამაშდა. წარმატებით აიღეს სტარტი ქართველმა დიდოსტატებმა. ქალთა ნაკრებმა პირველ წრეში მშრალი ანგარიშით — 4:0 სძლია ყირგიზეთის გუნდს (ნანა ძაგნიძე-ალექსანდრა სამაგანოვა 1:0, აიჟან ალიმბაი კზი — ბელა ხოტენაშვილი 0:1, სალომე მელია-აიჟარკინ ჩინგიზ კზი 1:0, დიანა ომურბეკოვა-ნინო ბაციაშვილი 0:1). მეორეში ჩვენებმა ჩერნოგორიელები დაჯაბნეს — 3:1 (ალექსანდრა მილოვიჩი-ნანა ძაგნიძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი-ტიჯანა ბლაგოევიჩი 1:0, მარია სტოიანოვიჩი-სალომე მელია 1:0, ნინო ბაციაშვილი-სანია მიშოვიჩი 1:0).

ვაჟთა ტურნირის სტარტზე საქართველოს ნაკრებმა ნიგერიას მოუგო 4:0 (ბუნმი ოლაპი-ბაადურ ჯობავა 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი-ბომო კიჯიჯა 1:0, პატრიკ აჯიბოვო-ლევან ფანცულაია 0:1, გაიოზ ნიგალიძე-ოლუვაფემი ბალოგუნი 1:0). მეორე ტურში ჩვენმა გუნდმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა ნაკრებს აჯობა 4:0 (ბაადურ ჯობავა-პიოტრ დუკაჟევსკი 1:0, იური მეშკოვი-ლევან ფანცულაია 0:1, გაიოზ ნიგალიძე-იაჩეკ სტაჩანჟიკი 1:0, ოლივერ მიულერი-კოსტანტინე შანავა 0:1).

ჯერ ეს დიდი ბატალიების დასაწყისია, ძლიერები სუსტებს ხვდებიან, ამიტომ როგორც ქალებში, ისე ვაჟებში ორ-ორ მოგებას სამ ათეულ ნაკრებზე მეტმა მიაღწია. ლიდერთა რაოდენობა მესამე-მეოთხე ტურებიდან შეთხელდება. იმედია, საქართველოს გუნდები ტურნირის ბოლომდე მეწინავეებში შეინარჩუნებენ ადგილებს.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

პირველ ტურნირში – მეორე ადგილი

თელავი ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ტურნირების სერიას (თითოეულის საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მასპინძლობს. გასულ უქმეებზე სასტარტო შეჯიბრება დამთავრდა. მანდილოსნებში მარიამ ბოლქვაძემ გამოიჩინა თავი. პირველ წრეში მან აქნე ჩეპელიტეს (ლიტვა) სძლია — 6:1, 6:0, მერე ალიონა ფომინას (უკრაინა) მოუგო — 2:6, 6:4, 6:1, მეოთხედფინალში ჩანთალ რიგოში (ავსტრალია) დაამარცხა — 6:2, 6:3, ნახევარფინალში თამარ ფიჩხაძეს (რუსეთი) აჯობა — 6:2, 6:1. გადამწყვეტ პაექრობაში მე-2 ნომრად განთესილ იულია კალაბინას (რუსეთი) დანებდა 4:6, 4:6 და მე-2 ადგილი დაიკავა. ქალთა წყვილებში იულია კალაბინამ (რუსეთი) და ანასტასია ვდოვენკომ (მოლდოვა) მიაღწიეს წარმატებას. ფინალში მათ ალიონა ფომინა (უკრაინა) და ინდია მაჯენი (ბელგია) დაამარცხეს — 7:6, 6:2.

ვაჟებში პირველი იყო ფრანგი ფლორენ დიეპი, რომელმაც წყვილებშიც იყოჩაღა რუს დანიილ მედვედევთან (რუსეთი) ერთად — გადამწყვეტ პაექრობაში ემანუელ მოლინას და რიკარდო სინიკროპის (ორივე — იტალია) დუეტს სძლია — 6:1, 4:6, 10:3.

თელავში გუშინ ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა მეორე ტურნირი დაიწყო.

ვაჟა ნოსირელი

◎ კალათბურთი

ვითომ გვარგებს?!

დედაქალაქის მერიის თასის გათამაშებას, ორგანიზატორთა აზრით, ევროპის მომავალი ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის წინ გენერალური რეპეტიციის ფუნქცია ენიჭებოდა. ტურნირის საწყისი ორი შეხვედრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 10 აგვისტოდან, ანუ ჩეხებთან სასტარტო მატჩიდან, ცხელი, მე ვიტყოდი, მდუღარე მარიამობისთვე ელოდება.

უპირველესად, საკითხავია, რა პრინციპით შეირჩნენ იგორ კოკოშკოვის გუნდის მეტოქენი. დიახ, როცა მოლდოველებს თითქმის ორმაგი უპირატესობით აცამტვერებ (108:56), ხოლო დიდი ბრიტანეთი ლიდერების — ნდენგისა და არჩიბალდის გარეშე გეთამაშება და მის დასამარცხებლად (70:60) თანამემამულე მსაჯის მაჩალაძის დახმარება გჭირდება, არა მგონია, ამით საკუთარ შესაძლებლობებზე დადებითი წარმოდგენა შეუქმნა ქომაგებს.

კიდევ უფრო დამაფიქრებლად მესახება სერბი მწვრთნელის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა.

გეთანხმებით, ძნელი სავარაუდო იყო, რომ „ჯვაროსნებს“ წამყვანი უკანახაზელები მარკოიშვილი და ჰიკმანი გამოაკლდებოდათ, რომლებიც ძველ ტრავმებს იშუშებენ, მაგრამ ძირითადი გამთამაშებლის „გაქაჩვა“ ცინცაძეს რომ გაუჭირდებოდა, ვფიქრობ, ადვილად პროგნოზირებადი იყო.

თქვენი ნებართვით, ამჯერად აქ დავსვამ წერტილს, ემანდ ჩასაფრებულობა რომ არ დამწამონ, წინილებს კი, ტრადიციისამებრ, ზოგიერთებს შემოდგომაზე დავუთვლი.

გია პლატონიშვილი

◎ ბრძოლის წინ

„ჩიხურა“ დაჯარიმეს, აზერბაიჯანელებმა ტონი შეარბილეს

უეფა-ს გადაწყვეტილებით, საფეხბურთო კლუბი „ჩიხურა“ 15 ათასი ევროთი დაჯარიმდა. აღნიშნულის მიზეზი თურქულ „ბურსასფორთან“ ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებით მატჩში ქართული გუნდის ქომაგთა და მოთამაშეთა შეუსაბამო საქციელი გახდა.

აღნიშნულ ინფორმაციას საagენტო azerisport.com ავრცელებს, რომელიც თავის მხრივ „ჩიხურას“ და ბაქოს „ნეფთჩის“ პირველ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტების გამოა აღშფოთებული და გასული დაპირისპირების პერიპეტიებს დიდ ადგილს უთმობს.

პირველ რიგში საჩხერელთა გოლკიპერის მაქსიმე ქვილითაიას განცხადებას გაგაცნობთ, რომელიც მან საკუთარ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა: „ჩვენს ქომაგებს ვთხოვთ, პოლიტიკური შემადგენლობის ბანერები აღარ გადმოფინონ. განმეორებით მატჩზე უეფა-ს სპეციალური წარმომადგენელიც იქნება და თუკი მსგავსი რამ განმეორდა, უკვე მთლიანად ქართული ფეხბურთი დაისჯება. გულშემატკივრებს ვთხოვ, მეტოქე გუნდებს და მათ მხარდამჭერებს მეტი პატივისცემით მოეპყრან“.

გუშინდელი მკვახე კომენტარების შემდეგ ტონი შეარბილა „ნეფთჩის“ პრეზიდენტმა სადიხ სადიხოვმა. „ცხელ გულზე“ მან ისიც კი თქვა, „ჩიხურა“ საერთოდ გუნდიც არააო, ამჯერად კი „ფირფიტა გადაატრიალა“.

„აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობას ვერაფერი შეარყევს. „ნეფთჩის“ და „ჩიხურას“ შორის ძალიან კარგი ურთიერთობებია. მათ ბაქოში ვიზიტის პირველი დღიდან დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით. აეროპორტში გაჩენილი პრობლემაც მოვუგვარეთ და ბაქოს ღირსშესანიშნაობები დავათვალიერებინეთ“.

მიუხედავად ყველაფრისა, სადიხოვის თქმით, მისი კლუბი უბრალოდ ვალდებულია საჩხერული ბარიერი დაძლიოს.

„ჩიხურა“ სერიოზული მეტოქეა, „ბურსასფორი“ ხომ შემთხვევით არ გაუვლიათ. თუმცა, ისინი ბიუჯეტით საგრძნობლად ჩამოგვრჩებიან და ლეგიონერებიც არ ჰყავთ. სხვათა შორის, პირველი მატჩის წინ როგორც მათი მწვრთნელი, ასევე ფეხბურთელები „ნეფთჩის“ სიძლიერეს აღიარებდნენ.

ყველაფრის გათვალისწინებით, განმეორებითი შეხვედრის წინ კლუბის წინაშე მიზნად მხოლოდ გამარჯვება დავსახე, როგორც ეს „კოპერთან“ დაპირისპირებისას გახლდათ.

რაც შეეხება ისევ და ისევ იმ ინციდენტს, სამი ადამიანის მიერ მოწყობილი პროვოკაცია ჩვენს ხალხებს შორის არსებულ მეგობრობას ჩრდილს ვერ მიაყენებს. ქართული კლუბის წარმომადგენლებმა და სტუმართა სხვა ოფიციალურმა პირებმა აღნიშნულის გამო მოიბოდიშეს კიდეც, ამდენად, თემა ამოწურულია“.

საშინაო ფრის მიუხედავად, „ნეფთჩის“ წარმატების სჯერა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზაურ ახუნდოვსაც, რომელიც დიდი ალბათობით, 7 აგვისტოს თბილისში დაგეგმილ განმეორებით თამაშსაც დაესწრება.

„თუკი დრო მექნება, მომავალ შეხვედრაზე აუცილებლად წავალ და ჩვენს გუნდს იქაც გავამხნევებ. იმედი მაქვს, რომ „ნეფთჩი“ წარმატებით იასპარეზებს. პირველ მატჩში „ჩიხურას“ გაუმართლა. მასპინძლებს 3-4 ბურთი უნდა გაეტანათ. თბილისში რთული იქნება, თუმცა, მეტოქე დაუმარცხებელი სულაც არაა“.

სხვათა შორის, „ჩიხურას“ და „ნეფთჩის“ პირველ მატჩს აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგთსიც ესწრებოდა, თუმცა, თამაშით იმედგაცრუებული დარჩა. საწყის ნახევარში ქომაგები ტრიბუნებზე მომხდარი არეულობის ყურებით იყვნენ გართულნი, მინდორზე კი, ჯამში, საინტერესო არაფერი ყოფილაო.

გიორგი ზოთაძე

◎ მოულოდნელი რაკურსით

„გამოცდა ხელბორკილით“

ORგანიზაცია „ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისათვის“ ხელმძღვანელი ალექსანდრე ახალკაცი მიიჩნევს, რომ დღეს ციხეებში ე.წ. მაყურებელთა ინსტიტუტი არ მოქმედებს და ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკეული ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე პროკურატურის მიერ ძიების დაწყებაც მიზანშეუწონელია. ახალკაცი ფიქრობს, რომ საკითხი თავდაპირველად უწყების გენერალურმა ინსპექციამ უნდა შეისწავლოს.

„სასჯელაღსრულების თითქმის ყველა დაწესებულების პატიმრებთან მაქვს კონტაქტი და მსგავსი რამ რომ ხდებოდეს, ინფორმაცია მეც მექნებოდა“, — ამბობს ის.

ალექსანდრე ახალკაცი ახალგაზრდა უფლებადამცველია. პატიმრების უფლებებზე ის საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებითაც საუბრობს. საპატიმროში წლების წინათ უნივერსიტეტიდან მოხვდა. 19 წლის სტუდენტს ბრალად ყაჩაღობა წაუყენეს - მობილური ტელეფონის მოპარვისა და გაყიდვისთვის 6-წლიანი საპატიმრო სასჯელი დააკისრეს. ამბობს, რომ პოლიტიკური მოტივით დასაჯეს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც მუდმივად არღვევდნენ მის უფლებებს. პატიმრობის პირობებში წიგნი დაწერა. „გამოცდა ხელბორკილით“,- ასე ჰქვია მის რომანს, რომელიც ავტორის თვალით დანახულ ციხის ცხოვრებას და პოლიტიკურ ასპექტებს მოიცავს. წიგნის პრეზენტაცია სექტემბერში იგეგმება.

ალექსანდრე ახალკაცი for.ge-ს საკუთარი წიგნის შესახებ ესაუბრა. თუმცა, საზოგადოებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმის შეხსენებაც, თუ როგორ მოხვდა იგი უნივერსიტეტიდან საპატიმროში.

ალექსანდრე ახალკაცი: 5 წელი და რამდენიმე თვე მომიწია პატიმრობამ. 6 წელი მქონდა მისჯილი და ცოტა ადრე გამოვედი, ხელისუფლების შეცვლის და ამნისტიის გამოცხადების გამო. ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, კიდევ გამიგრძელებდნენ პატიმრობას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი გაგა მკურნალიძე ხშირად მემუქრებოდა, რომ ასე გააკეთებდა.

— მკურნალიძეს რა ინტერესი ჰქონდა თქვენს წინააღმდეგ?

— ჩემს დაპატიმრებას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი თვითმმართველობის ყოფილ პრეზიდენტს გიორგი ავალიანს დავუპირისპირდი. შემდეგ ეს დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კონფრონტაციაში გადაიზარდა. ავალიანი დავით კირკიტაძის ახლობელი იყო და უნივერსიტეტში, უშუალოდ, პარტიის დავალებებს ასრულებდა. რასაც უნივერსიტეტის თვითმმართველობა ერქვა, რეალურად, „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერბრიგადა იყო. სტუდენტების დაშინება- დაშანტაჟებას ეწეოდნენ. ნაციონალების ღონისძიებებზე სიარულს, დროშების ფრიალსა და „მიშა-მიშას“ ძახილს ავალებდნენ სტუდენტებს. იმ პერიოდში ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციაში“ პირდაპირ ეთერში რამდენიმე ისეთი ფაქტი გავახმაურე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ — საპატიმროში ავალიანის ხელისუფლებას ღიად დავუპირისპირდი.

მალევე დამაპატიმრეს. ოფიციალური ბრალი ყაჩაღობის მუხლით წამიყენეს, თითქოს, მობილური ტელეფონი მოვიპარე და გავყიდე. „დაზარალებული“, რომელიც ნაცმოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი იყო, ცოტა ხანში ჩემი საქმის გამომძიებლის ცოლი გახდა. ბრალს მდებდნენ ტელეფონის გაყიდვაში. სინამდვილეში იმ დღეს, როცა ხსენებული ტელეფონი გაიყიდა, მე, რეალურად, მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი და მაშინდელი განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ საუკეთესო მოთხრობებისთვის საკუთარი ხელით გადმომცა პრიზები. გამოძიების პროცესში ჩემთან ერთად დაიკითხა ე.წ. მობილურის გაყიდვის საქმეში ჩემი ერთ-ერთი თანამონაწილე, თუმცა, რატომღაც, მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ, მეტიც, რამდენიმე კვირაში ის პატრულის თანამშრომლიც კი გახდა.

— ციხეში რომანის დაწერა რატომ გადაწყვიტეთ?

— დაპატიმრებამდე სტუდენტი ვიყავი. მაგრამ, 2010 წელს კიდევ ერთხელ ჩავაბარე მისაღები გამოცდები. 2009 წელს მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, თუ მსჯავრდებული აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდებს წარმატებით გაივლიდა, გათავისუფლდებოდა. ჩავაბარე და 100%-იანი გრანტიც დავიმსახურე, მაგრამ მე და გიორგი ზერეკიძეს მაინც არ მოგვცეს უფლება, ციხე დაგვეტოვებინა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე წიგნი დამეწერა. სათაურიც სიტუაციის შესაბამისი შევურჩიე — „გამოცდა ხელბორკილით“.

— რა არის წიგნის მთავარი სათქმელი?

— რომანის პირველი ნაწილში საუბარია ბორკილიან აბიტურიენტზე. ფაქტობრივად, ეს არის დოკუმენტური პროზა. აღწერილია ციხის ცხოვრება და იქ მიმდინარე ამბები. თითქმის ორი წლის განმავლობაში ვწერდი, იმიტომ გამიგრძელდა ასე, რომ წერის დროს ძალიან შეზღუდული ვიყავი, სისტემის დანაშაულებზე ვწერდი და რომ ენახათ, დამსჯიდნენ. ისე მოხდა, რომ ჩემი ნაწერების გარკვეული ნაწილი მაინც ჩაუვარდათ ხელში. გაჟონა ინფორმაციამ, რომ რაღაცას ვწერდი და რისი გარეთ გამოგზავნაც ვერ მოვასწარი, წამართვეს და გაანადგურეს. შემდეგ მაქსიმალურად მზღუდავდნენ, წერის საშუალება აღარ მქონდა. ფურცლებიც კი წამართვეს.

ჩემი ნაწერები რომ წაიღეს, ციხის დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს. მკითხეს, რა არის ეს? მოთხრობა-მეთქი. პერსონაჟები ვინ არიანო? — იმ ფურცლებზე, რომლებიც მათ ჩაუვარათ ხელში სახელ-გვარები არ მქონდა ნახსენები. დირექტორი პარალელურად მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს ესაუბრებოდა ტელეფონით, მან უთხრა, საკადრისი პასუხი გაეცითო და უშუალოდ, მისი ბრძანებით, ჩემს თვალწინ გაანადგურეს ის ნაწერები.

მინისტრ კალმახელიძის „ცენზურას“ გადარჩენილი ფურცლები

რომანის ძირითადი სათქმელი ის არის, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არაადამიანურ პირობებშიც არიან თავისუფლები და სიცოცხლეზე შეყვარებულები და ისინი არაფრის გულისთვის იხევენ უკან — არ ყიდიან სინდისს და ნამუსს. იციან, რომ მათი სიცოცხლის წამმზომი ჩართულია, მაგრამ მიზნის მისაღწევად აკეთებენ ყველაფერს. რომანშიც და ჩემთვის ცხოვრებაშიც ადამიანი არის დაუმარცხებელი. შეიძლება ფიზიკურად გაანადგურო, მაგრამ, იდეურად ვერ დაამარცხებ. აუცილებლად მიაღწევს მიზანს.

— რაც შეეხება წიგნის პერსონაჟებს, ვის ასახიერებენ ისინი ?

— თითქმის ყველა პერსონაჟი არის რეალური. ბევრი მათგანისთვის სახელიც კი არ შემიცვლია. ყველამ ყველა იცის, ვინ ვინაა. ერთ-ერთი პერსონაჟი „ბატონი“ მიხეილ სააკაშვილს ჰგავს, მაგრამ მე მას ღიად არ ვამბობ, მკითხველმა თავად გადაწყვიტოს, თუ ვინ არის „ბატონი“, ან „ქალბატონი ვეზირები“ . მე ვამბობ, რომ „ბატონი“ არ არის მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი. ის არის ყველა ტოტალიტარული რეჟიმის სახე, განზოგადებულია. დანარჩენი პერსონაჟები მისი იდეების „შნირები“ არიან.

ქილერა, ნინძა, მუხაძე და სხვები კი პირდაპირ მყავს მოხსენიებული — სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები არიან. ასევე ეძახდნენ მათ ციხეში. ასრულებდნენ დაკვეთას და პატიმრებს აწამებდნენ. ეს ადამიანები დღეს აღარ არიან თანამდებობებზე.

— როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა საპატიმრო დაწესებულებებში და რა არის შესაცვლელი დღეს?

— შეიცვალა ის, რომ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოქმედებები აღარ არის. ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი საქმის გასაჩივრების უფლება. ადვოკატებს აღარ აყენებენ შეურაცხყოფას, ადრე სცემდნენ კიდეც პატიმრის უფლებების დარღვევის გაპროტესტებისთვის. საპატიმრო დაწესებულებები გაცილებით ლიბერალური გახდა და იმის შიში არ აქვთ ადამიანებს, რომ იქ ცემით მოკლავენ და ხელოვნურად დააავადმყოფებენ.

რამდენიმე დაწესებულებაში მომიწია ყოფნამ, მათ შორის, ტუბდისპანსერშიც ვიყავი. საკუთარი თავლით მაქვს ნანახი ტუბდისპანსერში მედპერსონალი დიდ ტაშტში როგორ რეცხავდა შპრიცებს. მერე ამ ნემსებს სხვებს უკეთებდნენ. სპეციალურად აკეთებდნენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი რომ დაავადმყოფებულიყო. ექიმები ყურადღებას არ აქცევდნენ ავადმყოფ პატიმრებს. ახლა სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი.

რაც შეეხება იმას, თუ რა არის შესაცვლელი — სამსახურიდან უნდა გაათავისუფლონ ყველა ის ადამიანი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს პატიმრებს შეურაცხყოფდა. თუ ვინმე არის ასეთი დარჩენილი, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული თუნდაც ერთი პატიმრის ცემაში, ის ადამიანი უნდა დაითხოვონ. უნდა მომზადდეს კადრები, რომლებიც უფრო ჰუმანურები იქნებიან და კანონს დაიცავენ. მინისტრის ინიციატივით უნდა შეიქმნას ასეთი სასწავლო კურსები და გადამზადებულმა ადამიანებმა უნდა ჩაანაცვლონ დანაშაულის თანამონაწილეები. ასევე, კატეგორიულად მიუღებელია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა პრემირების საკითხიც.

მადლენა მაჭარაშვილი

◎ რას არ გაიგებ!

წინ... წარსულ დროში



ავსტრალიის კვინსლენდის უნივერსიტეტის ფიზიკოსებმა მიზნად დაისახეს კომპიუტერული ექსპერიმენტის ჩატარება, რომელიც დაამტკიცებდა წარსულში მოგზაურობის შესაძლებლობას, რომელიც ჯერ კიდევ 1991 წელს იწინასწარმეტყველეს.

ფოტონების მეშვეობით მეცნიერებმა კომპიუტერული მოდელი შექმნეს, რომელშიც კვანტურ ნაწილაკებს... წარსულ დროში გადაადგილება შეუძლიათ. თანაც, გაირკვა, რომ ამ დროს შესაძლებელია სტანდარტული კვანტური მექანიკის კანონები ირღვეოდეს. **მათ შეძლეს ცალკე აღებული ფოტონის ქცევის მოდელირება, რომელიც სივრცე-დროში ეგრეთ წოდებული „თხუნელას სოროთი“ წარსულში გადის და... საკუთარ თავთან ურთიერთობაში შედის!** ამ დროს ფოტონი საწყის სივრცობრივ-დროით წერტილში ბრუნდება, ესე იგი, სამყაროს წრფივი საკუთარ თავს უერთდება.

მეცნიერთა აზრით, მათი ნაშრომი ხელს შეუწყობს ფიზიკის ორი დიდი თეორიის, აინშტაინის ზოგადი ალბათობის თეორიისა და კვანტური მექანიკის გაერთიანებას, რომლებსაც აქამდე საერთო ცოტა რამ ჰქონდათ.

კერძოდ, აინშტაინის თეორია ვარსკვლავებისა და გალაქტიკების სამყაროს აღწერს, კვანტური მექანიკის კვლევის საგანს კი, ძირითადად, ელემენტარული ნაწილაკების ატომები და მოლეკულები წარმოადგენს.

აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორია უშვებს ობიექტის წარსულ დროში მოგზაურობის შესაძლებლობას, რომელიც დროის ჩაკეტილ მრუდში ხვდება. მაგრამ, ამან, შესაძლოა, მთელი რიგი პარადოქსი გამოიწვიოს: დროში მოგზაური, მაგალითად, შეიძლება... საკუთარ მშობლებს შეხვდეს, რაც მის დაბადებას შეუძლებელს გახდის. 1991 წელს კი პირველად გამოითქვა მოსაზრება, რომ კვანტურ სამყაროში წარსულ დროში მოგზაურობისას ასეთი პარადოქსების წარმოშობა შეიძლება გამოირიცხოს, ვინაიდან ჰეიზენბერგის გაურკვევლობის პრინციპის თანახმად, კვანტურ ნაწილაკთა თვისებები ზუსტად განსაზღვრული არ არის.

ოქრო... გაგახდუნებთ

მართალია, კოსმეტიკური ქირურგია ხშირად დიდ ვნებათაღელვათა მიზეზი ხდება, მაგრამ მისი პოპულარობა ღღითი ღღე იზრდება. კოსმეტიკური ოპერაციების სიძვირის მიუხედავად, ქირურგიული ჩარევით სახის ნაკვთებისა და სხეულის ცალკეული ნაწილების კორექცია იმდენად მაცდურია, რომ შარშან მარტო ამერიკელებმა ამ მიზნით ასტრონომიული თანხა — 12 მილიარდი დოლარი დახარჯეს!

ბოლო ხანებში ძალიან ბევრი ადამიანი კოსმეტიკური ქირურგიის ერთ-ერთ გამორჩეულ მეთოდს — ლიპოქსაციას მიმართავს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სხეულიდან ჭარბი ცხიმის ამოტუმბვისას მისი დაწვის დროს, შესაძლოა, ოქროს ნანონაწილაკების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ნანონაწილაკების გამოყენება სამედიცინო ტექნოლოგიების ახალი მიმართულებაა. მათი გამოყენება სხვადასხვა გამოკვლევის დროს შეიძლება, მათ შორის, კიბოთი დაავადებების დიაგნოსტირებისა და ხელოვნური კანის შექმნისას. ოქროს ნანონაწილაკების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ინფრაწითელი შუქის ზემოქმედებით, ისინი მალე ისე ხურდებიან, რომ ზოგიერთი ქსოვილის დაწვაც კი შეუძლებელია. მეცნიერები კიბოს უჯრედების განადგურებაში ნანონაწილაკთა პოტენციალს აკვირდებოდნენ, რის შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ მათ ცხიმის განადგურებაც შეუძლიათ. ნანონაწილაკების გამოყენებას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ცხიმი გაცილებით დაბალ ტემპერატურაზე იწვება, ვიდრე სხვა ქსოვილები და ნერვული დაბოლოებები. მას შემდეგ, რაც ცხიმი დადნება, მას ნემსით ამოტუმბავენ.

◎ ინფორმაცია

აზერბაიჯანში ძველი ავტომანქანების შესვლა კი არ იკრძალება, არამედ იზღუდება

როგორც საქართველოს ელჩმა აზერბაიჯანში თეიმურაზ შარაშენიძემ განაცხადა, აზერბაიჯანში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ კანონი ძალაში პირველი აპრილიდან იყო შესული.

— აზერბაიჯანის ხელისუფლების კეთილი ნებით, შეზღუდვა პირველ აგვისტომდე გადავადდა. მაგრამ მოხდა გაუგებრობა, ყველა ჩვენი თანამოქალაქე არ იყო ინფორმირებული, ამიტომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ჩვენი თხოვნა გაიზიარა და კიდევ ორი კვირით გადაიწია ამ კანონის ამოქმედებამ, — განაცხადა თეიმურაზ შარაშენიძემ.

მისივე თქმით, ეს კანონი ითვალისწინებს გადაადგილების შეზღუდვას და არა აკრძალვას. შეზღუდვა კი იმაში მდგომარეობს, რომ 2006 წლამდე გამოშვებული ავტომობილით საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საგარანტიო თანხას დატოვებენ საზღვარზე, რომ მანქანა უკან დაბრუნდება ან ექნებათ მიმწვევი აზერბაიჯანის მოქალაქის საგარანტიო წერილი.

◎ წიგნი – წამალი

კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ წიგნი წამალია სულისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ კი ექიმებმა დაადასტურეს, რომ კითხვა – ძლიერი გამაჯანსაღებელი პროცედურაცაა. წამყვან კლინიკებში შემოიღეს მკურნალობის ახალი მეთოდი – ბიბლიოთერაპია.

მეცნიერები ლივერპულის უნივერსიტეტიდან თვალყურს ადევნებდნენ მოხალისეთა ტვინის აქტივობის ცვლილებას შექსპირის კითხვის დროს. აღმოჩნდა, რომ მაღალი პოეზიის ზემოქმედებით ნორმალური ხდება ტვინის იმ ნაწილის მუშაობა, რომელიც პასუხსმგებელია ემოციებზე, და აქტიურდება თვითკონტროლის ზონა. მეთოდიკაც შეიქმნა იმ პაციენტების რეაბილიტაციისათვის, რომლებსაც აწუხებდათ სტრესული მდგომარეობა და სხვადასხვა ფობიები. სამკურნალო წიგნი სურვილის შემთხვევაში შეუძლია, შეაჩეროს ყველამ თავისთვის. ოღონდ უნდა გვახსოვდეს ბიბლიოთერაპიის მთავარი პრინციპები: ნაწარმოები უნდა იყოს

სამკურნალო კითხვა

რომელი წიგნები დაგვეხმარება გამოჯანმრთელებაში

მიმზიდველი, კითხვა კი – არა მხოლოდ განიჭებდეს კმაყოფილებას, არამედ გაიძულებდეს დაფიქრებასაც. სასურველია, რომ მთავარი გმირი ხვდებოდეს ისეთ სიტუაციაში, რომელიც ჰგავს იმ სიტუაციას, რომელშიც ოდესღაც მოხვედრილხართ თქვენც და რომლის განცდაც გაღელვებთ დღემდე. ასეთმა წიგნმა ან უნდა ჩაგინერგოთ უკეთესობის ოპტიმიზმი და რწმენა, ან გაგიწმინდოთ სული, დაგიტოვოთ ნათელი მჭმუნვარების შეგრძნება.

რა წავიკითხოთ გონებისა და გულისათვის

კლასიკური ლიტერატურა

თავისებურებანი: ზომიერი თხრობა სიმტკიცის შეგრძნებას ტოვებს. სხვისი შეცდომები საკუთარზე ჩაგაფიქრებს.

მაჩვენებლები: უნივერსალური საშუალებაა სტრესების, ნერვოზების, აკვიატებული მდგომაროების დროს.

დეტექტივები და თავგადასავლები

თავისებურებანი: ავარჯიშებს ყურადღებიანობას, ლოგიკას, მუყაითობას, დაკვირვებას. ჩახვეულ სიუჟეტებს, კარგად გამოვყავართ მჭმუნვარე აზრებიდან და პრობლემებიდან.

მაჩვენებლები: აკვიატებული მდგომარეობის, ფსიქოზების დროს.

სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი

თავისებურებანი: აფართოებს შესაძლებლის ფარგლებს, ამწვავებს უკიდურესობამდე სიტუაციებსა და ქცევებს, პაციენტს აძლევს შესაძლებლობას, უშიშრად აღიქვას თავისი აზრები და სურვილები და დაუშვას მათი არსებობა სხვებშიც.

მაჩვენებლები: ფობირების (შიშების) დროს. დაბეჯითებით უწევენ რეკომენდაციას მათ, ვინც „ფუტლარში“ ცხოვრობს და მკაცრი განაწესით.

პოეზია

თავისებურებანი: მწყობრ რიტმებს ნორმაში მოჰყავს ორგანიზმში მიმდინარე პროცესები. ლექსები პოზიტივზე განგვაწყობენ, გვინერგავენ რწმენას საკუთარ თავზე.

მაჩვენებლები: დეპრესიების დროს. ლექსების კითხვას იყენებენ ლოგოპედურ მეცადინეობებზე ინსულტის შემდეგ აღდგენითი პროცესის დროს.

ზღაპრები და ფოლკლორული ლიტერატურა

თავისებურებანი: მსუბუქ ფორმაში გვასწავლის ურთიერთობის წესებს, თვალყურის დევნებას.

მაჩვენებლები: ბავშვებში ჰიპერაქტიურობისა და ძნელი მოზარდების ქრონიკული ჯიუტობის დროს.

ფილოსოფიური და სასულიერო ლიტერატურა

თავისებურებანი: გვაძლევს წარმოდგენას სამყაროს მთლიანობასა და მასში ადამიანის ადგილის შესახებ.

მაჩვენებლები: მწვავე სტრესების, ქრონიკული დეპრესიების დროს.

იუმორისტული ლიტერატურა

თავისებურებანი: გვიხსნის განგაშის გრძნობას, გვასწავლის ურთიერთობის უკონფლიქტო ტექნიკას.

მაჩვენებლები: მოზარდებს – გარდამავალ ასაკში, ზრდის განწყობილებას ოპერაციებისშემდგომ პერიოდში.

ლიდია იუდინა

აზრი

მარინე ტანანაშიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნევროლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე:

– წიგნების კითხვა – ტვინის თავისებური ვარჯიშია. ახალი ინფორმაციის შემოსვლის დროს ყალიბდება ახალი კავშირურთიერთობანი ტვინის იმ ზონებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხანმოკლე და გრძელვადიან მეხსიერებაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კითხვის დროს ერთვება სისტემა, რომელიც გვაძლევს ემოციებსა და კმაყოფილებას. კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ იზრდება საერთო ფსიქიკური აქტიურობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მძიმე პაციენტების რეაბილიტაციისათვის, რომლებიც დათრგუნვილ მდგომარეობაში არიან.

ოლგა კარაბანოვა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

– კითხვის ყველაზე სასარგებლო შემადგენელი ნაწილია ემოციური გადამუშავება. როდესაც ერთმანეთს უპირისპირებს თავისი ცხოვრების გამოცდილებას სხვა ადამიანთა ცხოვრების მომენტებს, პაციენტი განიცდის თავის ტრაგიკულ სიტუაციებს ხელახლა, აფასებს მათ გარედან და აყალიბებს მათდამი ადეკვატურ დამოკიდებულებას. კარგი წიგნები – ეს ცხოვრების ნამდვილი სკოლაა, ისინი გვეხმარებიან უკეთ გავიგოთ ცხოვრება.

საქართველო ბრაზილიული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ინფორმაცია

უნივერსიტეტიდან უნიკალური წიგნები მოიპარეს

ცნობილი გახდა, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნები დაიკარგა. არსებული ინფორმაციით, წიგნების დაკარგვის ფაქტი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შენიშნეს , რის შემდეგაც უნივერსიტეტში წიგნის ფონდის აღწერა დაიწყო.

როგროც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი იუწყება, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა აღწერის დასრულებამდე, ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით კონკრეტულ კომენტარს ვერ აკეთებენ.

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ციცხალი ანეკდოტები

პატარა პეტკა და დაშა საუბრობენ:

– დედაჩემს საშვილოსნოსგარეშე ორსულობა ჰქონდა და ექიმმა მას საკეისრო ოპერაცია გაუკეთა, – ამბობს დაშა.

– დედაჩემს კი თურმე მამაჩემისგარეშე ორსულობა ჰქონია და ამიტომაც მამაჩემმა მას თავის ქალის ტრეპანაცია გაუკეთა.

* * *

პირველი იყო სიტყვა.

თუმცა, თუ შემდგომ განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს სიტყვა ბეჭდვური იყო.

ახალი ანტივირუსული პრეპარატი – პურგენი.

პურგენი! ო-ო-ო! ვის სცალია ავადმყოფობისთვის.

* * *

ებრაელი იტალიიდან ნაცნობს წერს.

– ვეწვიე მუზეუმს და ექსკურსიამძღოლს ვთხოვე, რომ ჩემთვის აპოლონის გვერდით გადაეღო სურათი. ის, რომელიც ტიტველია, მაგრამ – წინდაუცვეთავი, აპოლონია.

* * *

როდესაც მაშა როგორც იქნა, გათხოვდა იგორზე, ის მეშვიდე ცაზე იყო სიხარულისგან და მესამე თვეზე – პეტკასაგან.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ბ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24